საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 102 (646) | ოთხშაბათი, 19 მაისი, 1993 წელი. | ფასი 5 კუპონი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებენ, რომ 17 მაისს დილიდან მდინარე გუმისთის ფრონტის მთელ ხაზზე სიწყნარე იყო. 17 საათსა და 45 წუთზე მოწინააღმდეგემ კვლავ განახორციელა ქ. სოხუმისა და მისი შემოგარენის საარტილერიო დაბომბვა. ისროდნენ ე. წ. „გრად" რეაქტიული დანადგარებიდან. 10-მდე ჭურვი აფეთქდა ქალაქის ცენტრალურ რაიონში. წინასწარი მონაცემებით დაიღუპა ერთი და დაიჭრა 7 მოქალაქე. მნიშვნელოვნად დაზიანდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობანი. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს გაუხსნეს საპასუხო საარტილერიო ცეცხლი და ჩააქრეს მისი საცეცხლე წერტილები, რომელიც რუსეთის სამხედრო ლაბორატორიის ტერიტორიასთან იყო განლაგებული.

ამის შემდეგ აქტიური საბრძოლო მოქმედება აღარ ყოფილა. ღამემაც მშვიდად ჩაიარა. ოჩამჩირის რაიონში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები მერკულასთან, ცაგერასთან და რეკასთან. მოწინააღმდეგემ სცადა შეტევა განეხორციელებინა ამ სოფლებზე, მაგრამ დიდი ზარალი განიცადა და იძულებული გახდა უკან დაეხია. ამ ბრძოლებს პოზიციური ცვლილებები არ მოჰყოლია.

მიმდინარე ბრძოლების დროს კვლავ დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზი ცაგერა-ტამიშის მიდამოებში. ამის გამო. ქ. სოხუმსა და სოხუმის რაიონს შეუწყდა ელექტროენერგიის მიცემა. ენერგეტიკოსები გვპირდებიან, რომ მალე აღადგენენ დაზიანებულ ხაზს.

იოსებ გობეჩია.

●

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ თბილისში, საბურთალოს რაიონის პოლიციამ სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტზე დააკავა იუმაშევის ქუჩაზე მდებარე ცეკავშირის საწყობის გამგე შველიდ გაბაშვილი. მან საწყობიდან ყოველგვარი საბუთების გარეშე მოქალაქეს მიჰყიდა 9500 მანეთის ღირებულების ავტოსათადარიგო ნაწილები.

მიმდინარეობს გამოძიება.

საქინფორმის კორესპონდენტს დედაქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოში აცნობეს, რომ თემქის დასახლებაში თავისი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა 26 წლის გელა აბაშიძე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

კიდევ ერთხელ იარაღზე

ისევ მოქმედ და მკვდრადშობილ კანონთა შესახებ

ამ სამი სიტყვით შეიძლება განისაზღვროს პარლამენტის გუშინდელი სხდომის პირველი ნახევრის დებატების შინაარსი. ორმა მომხსენებელმა — გივი ლომინაძემ და დავით ქუპრეიშვილმა საკითხის ორი განსხვავებული გადაწყვეტა შესთავაზა კოლეგებს.

როგორც მკითხველს იცის, პარლამენტის იურიდიულმა და მართლწესრიგის და კანონიერების დაცვის მუდმივმა კომისიებმა შეიმუშავეს კანონის პროექტები ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის და ტარების შესახებ. იურიდიული კომისიის კანონპროექტი, რომელიც მოსახლეობიდან იარაღის ამოღებას ითვალისწინებს, ამ რამდენიმე ხნის წინათ განიხილა პარლამენტმა და გადასამუშავებლად დაუბრუნა კომისიას. და სწორედ ეს გადამუშავებული ვარიანტი წარმოადგინა ბატონმა გივი ლომინაძემ.

პირველი პროექტის ავტორების და მის მომხრეთა ძირითადი არგუმენტები (რაც შეიძლება სწრაფად იქნეს ამოღებული მოსახლეობიდან იარაღი), მოგეხსენებათ, მომხიბლავიც არის და ეფექტურიც, მეორე ვარიანტის მომხრეთა აზრით ერთი „მაგრამ" რომ არ ჰქონდეს. ეს „მაგრამ" არის — „როგორ"? „როგორ, რა გზით აპირებს სახელმწიფო ამ რაოდენობის იარაღის ამოღებას?" — ეს მეორე ვარიანტის მომხრეთა ერთ-ერთი მთავარი კითხვათაგანია.

საკითხი ისმის ასე: — თქვა დავით ქუპრეიშვილმა, — რა მოვუხერხოთ ხალხში გაბნეულ ამდენ იარაღს? მისი ამოღების ძალა სახელმწიფოს არ შესწევს.

„რად გვინდა ისეთი კანონის მიღება, რომელიც წინდაწინ ვიცით, რომ ვერ იმოქმედებს. კანონი, რომელიც იარაღის ამოღებას ითვალისწინებს, მკვდრადშობილი კანონია" (ქართლოს ღარიბაშვილი); „ყველაფერი, რასაც ვერ მოვერევით, ვერ დავძლევთ, რომ დავაკანონოთ. სახელმწიფო როგორ უნდა ავაშენოთ?!" (თამარ შენგელიძე), „გააჩნია ვის ექნება იარაღის შენახვის და ტარების უფლება. შესაბამისმა სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომლებმაც მშვენივრად უწყიან, ვის ხელშია ესა თუ ის იარაღი საშიში და ვისაში — არა, უნდა გასცენ იარაღის ტარების უფლება" (ვაჟა ამირეჯიბი); „ხაზინა როგორც გაგვაწყობს, ფულიც ისე უნდა გავქმოთ, მეტი გზა თუ არა გვაქვს, თუ ამდენ იარაღს ვერ ამოვიღებთ, უნდა დავაკანონოთ, აბა რა უნდა ვქნათ, მთავარია, ნუ გავაჭიანურებთ კანონის მიღებას" (იზა ორჯონიკიძე); „ამ წუთებშიც კვდებიან ადამიანები უკანონო იარაღით. მისი მოთმენა შეუძლებელია. ამას ალტერნატივა არა აქვს — იარაღი უნდა აიკრძალოს" (შალვა ნათელაშვილი); „სახელმწიფოს ჰქონდეს ყველაფერი და ადამიანს არაფერი... სახელმწიფოს ჰქონდეს იარაღის ქონების უფლება და ადამიანს — არა. ასე ხომ ჩვენ ახალ საბჭოთა კავშირს ავაშენებთ" (ირაკლი წერეთელი); „თუ შეუძლებელია იარაღის ამოღება, აღრიცხვა, ესე იგი მაშინ შეუძლებელია ქურდობის, მკვლელობის წინააღმდეგ ბრძოლაც და ესეც დავაკანონოთ მაშინ" (არჩილ იოსელიანი); „თქვენ საქმეს თავდაყირა აყენებთ, ბატონებო! არავინ მოითხოვს განურჩევლად ყველას ხელში არსებული იარაღის დაკანონებას. ჩვენ მოვითხოვთ წესს და რიგს.

ზოგმა გამომსვლელმა რეფერენდუმის გამართვა მოითხოვა — ჰკითხეთ ხალხს, ხალხი ბრძენია და თავად გადაწყვეტს საკითხს, თითქოს რეფერენდუმი პანაცეა იყოს, ანდა არ ვიცოდეთ, რა ჯდება იგი და რამდენად შეუძლია მისი მოწყობა შიმშილის ზღვრამდე მისულ ქვეყანას.

ამ სხდომაზე ერთი უნიკალური ფაქტი აღირიცხა, რომელიც უთუოდ უნდა დავაფიქსიროთ, რათა ისტორიას შემორჩეს: ბატონები ჯაბა იოსელიანი და გიორგი ჭანტურია ერთ პოზიციაზე აღმოჩნდნენ — ქვეყანაში, რომელშიც ომია, რა იარაღის ამოღებაზე ლაპარაკი აგიტყდათ.

საქმე კენჭისყრამდე არ მისულა. დასკვნის მაგივრად ერთ რამეს ვიტყვი მხოლოდ: თუ კი იარაღის ამოღების მომხრეებს თავიანთი მთავარი არგუმენტები დახლქვეშ გადამალული ძვირფასი საქონელივით გარეშე თვალისათვის მოფარებული არ ჰქონდათ, მოსმენილი არგუმენტაციის მიხედვით ესე იგი, იმის მიხედვით, რაც ვიხილეთ, ბაგირი აშკარად მეორე ვარიანტის — დაკანონების მომხრეებისკენ აღმოჩნდა გადაწეული, რაც მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა ჩემი მხრით.

• • •

საღამოს სხდომაზე მოისმინეს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინფორმაცია მისი მოსკოვში ვიზიტის შესახებ.

დადგა დრო, როდესაც უნდა დამთავრდეს კონფრონტაციის ეტაპი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში და დაიწყოს ახალი ურთიერთობები, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. — 8 სექტემბრის შეთანხმება ქაღალდზე დარჩა. ეს ფაქტია, მაგრამ მას შემდეგ შეიცვალა ძალთა თანაფარდობა რუსეთში. რეფერენდუმის შემდეგ ბატონმა ბორის ელცინმა მეტი ძალა შეიძინა და, ვფიქრობ, იგი თავის გავლენას გამოიყენებს, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულება ამოქმედდეს.

ჩვენს პოლიტიკურ წრეებში დიდი შეშფოთება გამოიწვია ერთმა ფრაზამ, რომ „რუსეთს თავისი ინტერესი აქვს შავ ზღვასა და საქართველოში". მე პირდაპირ ვკითხე რუსეთის პრეზიდენტს, რას ნიშნავს ეს ფრაზა. მან თქვა, რომ არანაირი ინტერესი საქართველოში მას არა აქვს, რომ მას სურს იხილოს საქართველო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ქვეყნად.

ამ წინადადებას დარბაზში შარი-შური და ხმაური მოჰყვა, (ირაკლი წერეთელმა გულიანად იცინა). ხმაური რას ნიშნავსო, — ბატონმა ედუარდმა იკითხა, განა ეს ხელს არ გვაძლევს?

— ხელს კი გვაძლევს, მაგრამ არ გვჯერა, — პასუხი კონკრეტული იყო.

— ილუზიები არ გვაწუხებს, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — გარანტია არაფრისა გვაქვს, მაგრამ მოძრაობა დაიწყო. უნდა ვცადოთ, მით უმეტეს, როდესაც სხვა გზა არა გვაქვს.

ბატონმა ნოდარ ნათაძემ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელით თამარ ჩხეიძემ, „ქარტია-91"-ის სახელით თედო პაატაშვილმა ეჭვქვეშ დააყენეს მოლაპარაკების შესაძლო დადებითი შედეგი და აღნიშნეს, ამას სჯობს რუსეთის ჯარების საქართველოდან დაუყოვნებლივ გაყვანა მოვითხოვოთ. ამაზე ქალბატონმა ლანა ღოღობერიძემ თქვა, ეტყობა, ბოლომდე არა გვაქვს გააზრებული ჩვენი ერთად დგომის მნიშვნელობა, თორემ ასე წარა-მარა უნდობლობას არ გამოვუცხადებდით ადამიანს, რომელიც თავის შესაძლებლობის ფარგლებში, დიპლომატიით და სხვა ათასი საშუალებით ცდილობს ქვეყნის ხსნას.

— ბოლოს და ბოლოს როდესმე ხომ უნდა ვისწავლოთ სასურველის რეალურისაგან გარჩევა, — თქვა კვლავ სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ სხვა არის რა გვსურს, და სხვა — რის საშუალება გვეძლევა. სხვა დროსაც მითქვამს, კარგია ყოველგვარი განცხადებები და დადგენილებები, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო, დანიშნულება და ადგილი აქვს. რეალობის გაუთვალისწინებლად ყოველგვარი განცხადება ფარატინა ქაღალდად რჩება. ეტყობა ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რომ სწორედ რეალურად ვდგავართ შიმშილის, სიკვდილის ზღურბლთან. ამ დროს თავისუფლებაზე ლაპარაკი ცარიელ ფრაზებად რჩება.

რუსეთთან დაძაბულობის შემდგომი ესკალაცია დაღუპავს ქვეყანას. კონფრონტაციის ფაზიდან როგორმე უნდა გამოვიდეთ. და თუ ამის შანსი გაჩნდა, მისი გამოუყენებლობა უბრალოდ არ შეიძლება.

ეუთოს წარმომადგენელს ველით ოცი მაისისათვის თავისი მისიით, საქმეში უნდა ჩაერთონ ევროპული სტრუქტურები, თუ საჭირო გახდება, უკრაინა გვპირდება დახმარების ხელის გამოწვდას. კიდევ ვიმეორებ — ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთ.

ჩვენ კი დავამატოთ — დანარჩენი უფალზე იყოს!

გალინა ხარებაშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო კორესპონდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფოთაშორის საანგარიშსწორებო ურთიერთობათა დროებითი კომისიის დებულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფოთაშორის საანგარიშსწორებო ურთიერთობათა დროებითი კომისიის თანდართული დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი. 17 მაისი 1993 წელი.

დებულება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფოთაშორის საანგარიშსწორებო ურთიერთობათა დროებითი კომისიის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფოთაშორის საანგარიშსწორებო ურთიერთობათა დროებითი კომისია (შემდგომში „დროებითი კომისია") შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1993 წლის 25 თებერვლის 141 განკარგულებით.

დროებითი კომისიის შექმნის მიზანია სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს რესპუბლიკის საანგარიშსწორებო ურთიერთობის სტრატეგიული კურსის განსაზღვრა, საკორესპონდენტო ანგარიშებით ანგარიშსწორებისას ამ უკანასკნელში დროული კორექტივების შეტანა, ანგარიშსწორების პროცესზე რეაგირების ოპერატიულობისა და მისი კოორდინაციის უზრუნველყოფა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული სახსრების ხარჯვის მიმართულებათა განსაზღვრა.

2. დროებითი კომისიის ფუნქციებია:

— საგადასახადო სისტემის რეფორმის სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძვლების შემუშავების ორგანიზაცია, სათანადო სამართლებრივი აქტების მომზადების კოორდინაცია და მისი გატანა ეკონომიკური რეფორმის შტაბზე;

— ტექნიკური კრედიტის არსებულ ლიმიტზე ზედმეტი ხარჯვის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და მისი რაოდენობის დადგენა;

— ტექნიკური კრედიტის დაწესებულ ფარგლებში პირველადი გადარიცხვების რიგითობის დადგენა და ნებართვის გაცემა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებით. სასწრაფო შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ანგარიშსწორება გამოკითხვის წესით;

— საკორესპონდენტო ანგარიშებზე წარმოქმნილი სახელმწიფო ვალის რეგულირება, მისი ანალიზი და დასკვნის დროული მიწოდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის და პარლამენტისათვის. ამ ვალის დაფარვის მიმართულებათა განსაზღვრა;

— საგადასახადო რეჟიმისა და ვალდებულებათა დაფარვის ოპტიმალური ვადების შემუშავება და მათი დაცვისათვის კონტროლის ორგანიზაცია;

— ანგარიშსწორების სისტემის საბაზრო ურთიერთობებთან შესატყვისობაში მოყვანა;

— საგადასახადო დოკუმენტების დანიშნულების ადგილამდე გადაზიდვის (გადაგზავნის) ორგანიზაციის კოორდინაცია;

დარგთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი ჩათვლების ორგანიზაცია;

3. დროებითი კომისია უფლებამოსილია:

— მოსთხოვოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერ ორგანოს, ეროვნულ ბანკს, სახელმწიფო-კომერციულ, კომერციულ და კერძო ბანკებს ინფორმაცია საანგარიშსწორებო საკითხებზე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში;

— შეისწავლოს დროებითი კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა მართვის ნებისმიერ ორგანოში და საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება;

— დაამტკიცოს სარეკომენდაციო ხასიათის მეთოდური მითითებანი;

— დაავალოს მართვის ნებისმიერ ორგანოს, აგრეთვე სთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს საანგარიშსწორებო სფეროსთან დაკავშირებული ნორმატიული და მეთოდური მითითებების, დასკვნების, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა პროექტებისა და მასალების მომზადება.

4. დროებითი კომისია საკითხებს განიხილავს სხდომაზე, რომლებიც მოიწვევა საჭიროებისამებრ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს, ეროვნული ბანკის, იუსტიციის სამინისტროსა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი პირველი პირები.

საკითხის განხილვის დროს, როგორც წესი, კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ შესაბამისი პროფილის სამინისტროთა, უწყებათა და დაინტერესებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და მათი წარმომადგენლები.

5. კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რომელიც განაგებს მაკროეკონომიკურ ბლოკს.

კომისიას ჰყავს მდივანი, რომელიც ორგანიზაციას უწევს კომისიის სხდომების ჩატარებას და ამზადებს სხდომის მასალებს.

6. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

კონფლიქტთა მოწესრიგების დარგში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პირადი, სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის

განცხადება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ
თ. ნადარეიშვილს,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ
ვ. არძინბას.

მეცხრე თვეა, საქართველოში, აფხაზეთის მიწა-წყალზე, სისხლი ილვრება. ტანჯვა-ვაებამ და სიკვდილმა დაისადგურა ათასობით ადამიანის სახლში. იღუპებიან მშვიდობიანი მცხოვრებნი, მოხუცები, ქალები, ბავშვები, ჭაბუკები, სულ ახლახანს რომ შესდგეს ფეხი ცხოვრების გზაზე.

ისპობა საცხოვრებელი სახლები, მატერიალური ფასეულობანი და კულტურული ღირებულებანი, რომლებიც შეუპოვარი გარჯით შეუქმნია აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანთა მრავალ თაობას. მარტო ქალაქ სოხუმში დანგრეულია ათასამდე საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი შენობა: ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. დაიღუპა ორასზე მეტი მშვიდობიანი სოხუმელი მოქალაქე, — ყველა ეროვნების მოქალაქენი.

საერთოდ, სიკვდილმა არ იცის ეროვნების გარჩევა. ახლობლის დაკარგვა ერთნაირი უბედურებაა ნებისმიერი დედისათვის.

ტანჯვა-ვაებამ დაისადგურა ოჯახებში ფრონტის გაღმა-გამოღმა. ხალხი გაწამებულია. ადამიანები, რომელთა მამა-პაპანი საუკუნეთა მანძილზე შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, დღეს ერთმანეთს ხოცავენ. ყოველი ახალი სიკვდილი იწვევს მათ ორმხრივ უნდობლობას, გაუცხოებასა და სიძულვილს, რომლის შემდეგაც იწყება ის ზღვარი, როდესაც შეუძლებელია ერთად ცხოვრება ერთ მიწა-წყალზე. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ ზღვარს გადავცდეთ.

მაგრამ, სანამ ამ ზღვარს არ გადავცდომივართ, სანამ უამრავი ქართველი და აფხაზი საფრთხეში იგდებს სიცოცხლეს, რათა დაეხმაროს ერთურთს, სანამ არსებობს ათასობით აფხაზურ-ქართული ოჯახი და დღესაც კი იქმნება მრავალი ასეთი ოჯახები, ქართველ-აფხაზთა ომის მიუხედავად, ჩვენ მოვალენი ვართ მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, რათა პირველებმა შევაგებოთ ხელი ერთმანეთს, შევწყვიტოთ ძმათაკვლა. სხვა გზა არა გვაქვს.

მით უმეტეს, რომ არ გვაქვს არც სამხედრო დაპირისპირების მიზეზები. საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა ცნობს აფხაზეთში არსებულ სახელმწიფო სტატუსს.

ალექსანდრე კავსაძე.

დიპლომატიური ქრონიკა

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები საქართველოში გიუნტერ დალჰოფი და ბერნარ ფასიე.

სახელმწიფოს მეთაურმა გააცნო მათ საქართველო-რუსეთის უმაღლესი დონის შეხვედრის არსი და მისი შედეგები, აღნიშნა, რომ რუსეთსა და საქართველოში მიმდინარე მთელი რიგი შიდაპოლიტიკური პროცესების ფონზე ამ შეხვედრას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში საეტაპო ხასიათი მიენიჭა.

გერმანიისა და საფრანგეთის ელჩებმა კმაყოფილება გამოთქვეს მოსკოვის შეხვედრის შედეგების გამო და დასძინეს რომ მათი ქვეყნები მიესალმებიან საქართველოს მიერ კიდევ ერთ გადადგმულ ნაბიჯს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზაზე.

• • •

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თიმოჩინ არბაქი.

სახელმწიფოს მეთაურმა ელჩს სთხოვა გადასცეს ბატონ სულეიმან დემირელს მილოცვა თურქეთის პრეზიდენტად არჩევის გამო, და უსურვა მას წარმატებები ამ მეტად პასუხსაგებ პოსტზე. შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბატონ თიმოჩინ არბაქს გააცნო საქართველო-რუსეთის უმაღლესი დონის შეხვედრის მიმდინარეობა და მისი შედეგები.

ელჩმა მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის შეხვედრას და აღნიშნა, რომ თურქეთი მიესალმება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესს.

• • •

17 **მაისს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაჰმუდ ვაეზი. იგი ჩამოვიდა თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალი აქბარ ველაიათის საქართველოში ოფიციალური ვიზიტისათვის მზადებაში მონაწილეობის მისაღებად. ვიზიტი, რომელიც 18-20 მაისს უნდა გამართულიყო, გარკვეული დროით გადაიდო.**

საუბრის დროს აღინიშნა, რომ ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მინისტრის ვიზიტს, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ირანს შორის მეგობრული და საქმიანი კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ეს კავშირურთიერთობა წარმატებით ვითარდება შარშან ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ. რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა სპეციალური კომისია საქართველოს ვიცე-პრემიერის მეთაურობით იმ შეთანხმებათა რეალიზაციისათვის, რომლებსაც ხელი მოაწერეს მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის თეირანში ყოფნის დროს.

საუბრის დროს ყურადღება გაამახვილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მიხედვით მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზაციაზე.

ბატონმა გოგუაძემ ილაპარაკა რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე, ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიებაზე.

• • •

17 **მაისს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ა. ჩიკვაიძემ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში ბ-ნი გიუნტერ დალჰოფი.**

შეხვედრის ძირითადი თემა გერმანიაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის მომავალ ვიზიტს ეხებოდა. ელჩმა მინისტრს წარმოუდგინა გერმანიაში სტუმრობის წინასწარი პროგრამა, დაზუსტდა ზოგიერთი დეტალი. განიხილეს ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ასპექტები, ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის მომზადებულ ხელშეკრულებათა პროექტები, რომლებსაც გერმანიაში მოაწერენ ხელს. ა. ჩიკვაიძემ გააცნო ბ. ელცინისა და ე. შევარდნაძის, აგრეთვე რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრათა შედეგები. აღინიშნა, რომ გერმანია მტკიცედ დგას საერთაშორისო ნორმების, კერძოდ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვეობის პრინციპებზე და აქედან გამომდინარე პოზიტიურად აფასებს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას, რასაც მძლავრი ბიძგი მისცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ამასწინანდელმა შეხვედრამ და რომლის შეთანხმებათა რეალიზაციამ მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის რეგიონში მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენისათვის.

• • •

17 **მაისს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეწვია თბილისში საქმიანი ვიზიტით მყოფი ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაჰმუდ ვაეზი, სადაც იგი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ა. ჩიკვაიძემ.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახური.

ნომერში

● ძალიან პატარა ჩანდა საელჩოს ფანჯრიდან ჟირინოვსკი. 2
● განხეთქილების ვაშლი. 3

ედუარდ შევარდნაძე სომხეთს გაემგზავრება

19 მაისს სომხეთის დედაქალაქში მიემგზავრება საქართველოს სახელმწიფო დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით.

ამ ვიზიტს ორი მეზობელი ქვეყნისათვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს. გაიმართება შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რომლის დროსაც ედუარდ შევარდნაძე და ლევონ ტერ-პეტროსიანი ხელს მოაწერენ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუშიშროების ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას. როგორც ცნობილია, ეს ხელშეკრულება ორივე დონეზე შეთანხმებულია და მისი ხელმოწერის საშუალება ქვეყნების მეთაურებს ობიექტური მიზეზების გამო აქამდე არ ჰქონდათ.

სომხეთთან ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერით ჩვენს ქვეყანას ფაქტიურად სამართლებრივი თანასწორუფლებიანი მეგობრული ურთიერთობები ექნება დამყარებული თავის ყველა უშუალო მეზობელ სახელმწიფოსთან. რჩება მხოლოდ რუსეთი, რომელთანაც მოლაპარაკება გრძელდება.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად ალექსანდრე კავსაძის დანიშვნის შესახებ

რუსეთსა და საქართველოს შორის უმაღლეს დონეზე შეხვედრის შესახებ 1993 წლის 14 მაისს კომუნიკეს შესაბამისად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგებისათვის მოქმედებათა კოორდინაციის მიზნით დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენლად ალექსანდრე კავსაძე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

ელექტროენერგიის ტარიფის მოწესრიგების შესახებ

ენერგოშემცველთა ფასების მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში ელექტროენერგეტიკული დარგის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს 1993 წლის 15 მაისიდან სამოქმედოდ „საქენერგოს" დეპარტამენტისა და საბითუმო გადამყიდველების ელექტროქსელებიდან ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის გასაცემი 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ტარიფი 13,5 მანეთის ოდენობით (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით).

2. შენარჩუნებულ იქნეს „საქენერგოს" დეპარტამენტისა და საბითუმო გადამყიდველების ელექტროქსელებიდან მოსახლეობისათვის გასაცემ 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე მოქმედი ტარიფი — 3 მანეთი (კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გათვალისწინებით).

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ მოსახლეობისათვის გაცემული ელექტროენერგიის ფასთა სხვაობით (1 კილოვატსაათზე 13,5 მანეთსა და 3 მანეთს შორის) მიღებული ზარალის დაფარვა „საქენერგოს" დეპარტამენტისა და საბითუმო გადამყიდველებისათვის შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

4. ანგარიშსწორება „საქენერგოს" დეპარტამენტსა და საბითუმო გადამყიდველებს შორის განხორციელდეს ხელშეკრულების საფუძველზე.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 თებერვლის 90 დადგენილებით მომხმარებლებისათვის განსაზღვრული ელექტროენერგიის ტარიფები (გარდა მოსახლეობისა).

6. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი. 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

ბუნებრივი გაზის ფასის მოწესრიგების შესახებ

რესპუბლიკისათვის მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის მნიშვნელოვან გაზრდასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1993 წლის 15 მაისიდან „საქგაზის" დეპარტამენტის მიერ ყველა კატეგორიის მომხმარებელთათვის მისაწოდებელი ყოველი 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ფასი 40000 მანეთის ოდენობით (დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ჩათვლით).

2. შენარჩუნებულ იქნეს „საქგაზის" დეპარტამენტის მიერ მოსახლეობისათვის მისაწოდებელ ყოველ 1 კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზზე მოქმედი ფასი — 1 მანეთი (კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების გათვალისწინებით).

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი გაზის ფასთა სხვაობით (1 კუბურ მეტრზე — 40 მანეთისა და 1 მანეთს შორის) მიღებული ზარალის დაფარვა „საქგაზის" დეპარტამენტისათვის შესაბამისი ბიუჯეტების ხარჯზე.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 20 ოქტომბრის 1005 დადგენილებით მომხმარებლებისათვის განსაზღვრული ბუნებრივი გაზის გასაცემი ფასები (გარდა მოსახლეობისა).

5. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი. 1993 წლის 18 მაისი.

დაიწყო საკონსულტაციო შეხვედრები ქართველთა და აფხაზთა მხარეებს შორის

როგორც რუსეთ-საქართველოს უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ, გუშინ მოსკოვში დაიწყო საკონსულტაციო შეხვედრები ქართველთა და აფხაზთა მხარეებს შორის, რომლებზეც უნდა შემუშავდეს ამა წლის 20 მაისიდან აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის შემდგომი მოწესრიგების მექანიზმები. შეხვედრები ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობს.

ეს ცნობა მოგვაწოდა საქართველოს რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პრესცენტრმა.

მოვლენის კვალზე

გაშიფრული მაგნიტოფონი

(მოსკოვი, 14 მაისი)

არმაზ სანებლიძე

1. კეთილშობილი ამაოება

ვალერი კვარაცხელია, რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი და ცნობილი ტელეკომენტატორი, აქეთობისას, თვითმფრინავში ტელეცხედრის რეანიმაციას შეეცდება: შეეკითხება — თქვენს სტატიაში, მოსკოვის შეხვედრის შესახებ რომ დაწერეთ, რას ტყუით მკითხველსო?

შავი მიკროფონი და ტელეკამერა ნაცრისფერი ნანგრევებიდან მოულოდნელად გამოსრიალებულ კობრასავით ხელისგაწვდენაზე შეიმართა. ეფექტი — იდენტური, მონუსხვით გაშეშება; წინააღმდეგობის გაწევის უაზრობა: ხმას არ ამოიღებ — წაგებული ხარ, უპასუხებ — მაინც წაგებული. რადგან (ზოგს რომ მოსწონს — „რამეთუ") ზოგიერთივით შენც შეეცდები დაამტკიცო, რომ ჭკვიანი ხარ. ტელეკამერა სწორედ შენს ამ სივაივაგლახეს დააფიქსირებს კამერის ცივი თვალით.

ვიცი ეს, და მაინც ვუპასუხებ თავაზიან შეკითხვას: შევარდნაძე-ელცინის მოსკოვის სამუშაო შეხვედრიდან კარგ ხასიათზე ვბრუნდებით (არის საამისო რეალური საფუძველი) და შევეცდები, ეს განწყობილება — იმედის განწყობილება — გადავცე-მეთქი მკითხველს.

წამგებიანია ასეთი პასუხი. ახლა კრიტიკაა მოდაში. თავისთავის ძალა უნდა დამეტანებინა და მეთქვა, რომ ბევრი კარგი შეთანხმების მომსწრე ვყოფილვართ, მაგრამ არც ერთს არ „უმუშავია". ვნახოთ, ეს თუ იქნება გამონაკლისი. ცოტაც — ცინიზმი, ცოტაც — სარკაზმი და ასე შეზავებული მორიგი ულუფა, ყურიდან ყურში გადასაცემი, მზად იქნებოდა — ორიგინალური სიტყვა ხურმისა და ხილის მცნებათა ფარდობითობის შესახებ.

მაგრამ, არ გამოვიდა.

კეთილშობილური ცდისათვის ბატონ ვალერი კვარაცხელიას, რასაკვირველია, — მადლობა, მაგრამ ხუთი წლის წინ ეკრანს ჩამოცილებული კაცის ოთხკუთხედ, ცისფერ სივრცეში დაბრუნება, ისეთსავე შედეგს იძლევა, მგონი, როგორც ასაკს გადაცილებული ფეხბურთელის მინდორზე სათამაშოდ გამოსვლა. ან — უარესს.

ტელევიზია ახალგაზრდობის ასპარეზია.

ალბათ, ასე.

* * *

მაგრამ, მაინც, რას ვეტყვი მკითხველს ამ ლირიკული ინტერმეცოს შემდეგ?

მთქმელი ბევრია ისედაც. და ყველას იმდენი საკუთარი აზრი აქვს, გამგონს თავისი აღარ რჩება.

ამიტომ იმის აღდგენას შევეცდები მხოლოდ, რაც ენაზე დამოვისმინე. დასკვნები — თქვენია.

სათაურიც ამ აქცენტითაა: გაშიფრული მაგნიტოფონი ჩემი სამუშაო დიქტოფონისა.

2. მოსკოვს. უკვე ყველაფრის სჯერა

რადგან ყველაფერია მოსკოვში:

სასტუმრო „მოსკოვის" საპარადო სადარბაზოსთან გრანიტის იატაკზე გაშხლართული მძინარე ჩათხოვარი (მთვრალია?) და ნათხოვრალი მანეთების ხიმეჩხრე უპატრონოდ დარჩენილ ქუდში.

კალინინის (ყოფილ) პროსპექტზე, ტროტუარს ჩაყოლებით — „დღის პეპლები" შემოტკეცილი ქსოვილის ნაჭრით (აბა ვითა ვთქვა?!) მოშიშვლე — ჰა და ჰა — დაფარულნი. ხან მანქანის კაპოტზე თეთრ ბარძაყებგადმოყრილნი, ხან მანქანაში თავ-და ტანშერგულნი და გარეთ მყოფთათვის „ინტიმურ ადგილთა" თავისუფლად თვალიერების (სულო, წაწყმედილო!) საშუალების მიმცემნი; ვაჭრობა — რუსულ მანეთებზე (მხოლოდ როგორც გამონაკლისი) და დოლარებზე (ულაპარაკოდ). კუპონებს აქაც არავინ იღებს, როგორც თბილისში ბენზინის გამყიდველები. (ქუჩაში მოვაჭრეთ ყოველთვის რაღაც მაინც ჰქონიათ საერთო).

სასტუმროში ხალვათობაა და ხელთუქმნელი და ხელუხლებელი, ძველებური ბიუროკრატიზმი სუფევს. სტუმრები — მაინც ქართველები, თვალშისაცემი უმეტესობით (ცნობისათვის: 12-დან 12 საათამდე ერთი საწოლი 8 ათასი მანეთი ღირს), მოშინაურებულები — სპორტულ ტანსაცმელში და უმისოდ, და განუმეორებელი სურნელით.

გორკის (ყოფილ) ქუჩაზე — დაკანონებული ნაკადი მოსიარულეთა. სამაგიეროდ, ტალღა-ტალღა ბოშები: ქალები და ბავშვები, ცალ-ცალკე ჯოგებად. უკანასკნელნი — განსაკუთრებით საშიშნი, უპირველესად — უცხოელთათვის.

დასავლელს ყოფილი საბჭოელისაგან ყმაწვილი ბოშები შესანიშნავად გამოარჩევენ. დააცხრებიან თავზე სახტადდარჩენილს და რამდენიმე წამში ზუსტად იმდენით შეამსუბუქებენ, რამდენსაც იწონიდა მის ჯიბეებში არსებული ყველაფერი.

მაგრამ დასავლელმაც კარგად უწყის, სად ჩამოვიდა და რას უნდა ელოდოს ამათგან. ამიტომ, როგორც კი თვალს მოჰკრავს მისკენ მომავალ ბოშათა ახალთაობას, ჯიბეებში ხელებს ჩაიწყობს: კერძო კაპიტალის დაცვის ნაცადი საშუალება.

ნაცადი? სხვაგან იქნებ ასეცაა, აქ პრიმიტიული დებიუტია მხოლოდ. შემდეგი სვლა: ჯოგის ყოჩი გამოქანდება და მუშტს სთხლიშავს სახეში თავდაჯერებულ ბურჟუას. გადაირევა მშრომელთა სისხლის მსმელი, საპასუხო დარტყმებისთვის აიწევა, და ის წამები, რომლებიც მუშტების ქნევაში დაეხარჯება, სრულიად საკმარისია მისი ჯიბეების დასაცლელად.

ჯიხურები. ისევე უაზროდ და უშნოდ ჩაყრილი მოსკოვის ცენტრალურ ქუჩებში, როგორც თბილისში. იყიდება ყველაფერი, ამ ბოლოს — გაზის პისტოლეტები, არბალეტები, ცივი იარაღი.

კიდევ?

კიდევ — ბევრი სხვა რამ, მაგრამ იმ ერთ საათში, რომელიც 14 მაისს პრესკონფერენციამდე გვქონდა დარჩენილი და თავისუფალი დრო ერქვა, ესეც ძლივს მოვასწარი კოკა ყანდიაშვილთან („ვესტი") და ვადიმ ანასტასიადისთან („ვეჩერნი ტბილისი") ერთად ჯირითში.

* * *

მოსკოვური გაზაფხული თბილისურისგან განსხვავებით იყო ცხელი და ძალიან მწვანე. ბაღრის თეთრი ფთილების მირიადებს ატრიალებდა ქუჩებში შემოპარული ნიავი და „მიყრუებული სტეპების შორეული ადგილებიდან ნაღვლიანი მანძილისა და ადამიანის არყოფნის სევდის სუნი მოჰქონდა". (ა. პლატონოვი).

3. „თავისუფლების" აქტიური კორესპონდენტი

მოლაპარაკება დამთავრდა. ბატონი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს საელჩოში ბრუნდება. ამოდის კიბეზე და თბილისიდან წამოსვლის შემდეგ, მგონი, პირველად იღიმება.

ოთარ ჩერქეზიას, ვიცეელჩის წინასწარი ინფორმაცია: რუსებმა თავიანთი კონცეფციის აქამდე ურყევი პოსტულატი — ჯერ დამთავრდეს აფხაზეთში კონფლიქტი, ქართველებმა გაიყვანონ ჯარი, მხოლოდ შემდეგ შევძლებთ სხვა პრობლემების გადასაწყვეტად მოლაპარაკებასო, — შეცვალეს: პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების მოგვარება ხელს შეუწყობს ომის დამთავრებას.

მოულოდნელ გამონათებასავითაა დახშულ ბნელ სივრცეში.

ვინ დაარწმუნა?

ორი დღის შემდეგ, კვირას „ოსტანკინოს" პროგრამა „იტოგის" კომენტატორი ტანზე შემოიხევს — ეს რა ჰქნა რუსეთმა, როგორ და რატომ დაუთმოო მოქნილ ქართულ დიპლომატიას, რომელსაც საბჭოთა ფესვები აქვსო? — ღვარძლიანობაში წაივარჯიშა..

ძალიან არ მოეწონათ პროიმპერიულ ძალებს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მაინც სიმართლეს გაუსწორა თვალი.

მაგრამ ბორის ელცინს ახლა ასე იოლად ვეღარ მოერევიან...

პრესკონფერენციამდე დრო კიდევ არის ცოტა. მაგრამ მოცდა არავის სურს. ამიტომ ბატონ თენგიზ სიგუასთან სახელდახელოდ, საელჩოს ჰოლშივე იმართება „პრესკონფერენცია-შესავალი". სწორედ მისგან შევიტყობთ პირველად, რომ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის და რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენლებს დაევალათ ყველა, დღეისთვის შეუთანხმებელი ან დაუმთავრებელი საკითხის დეტალური დახვეწა და მომავალი (იქნებ დასკვნითი?) მოლაპარაკების წინ ხელმძღვანელობისთვის წარდგენა.

რუსეთის არმიის ნაწილების საქართველოში ყოფნას რომ შეეხო, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თქვა:

— პარადოქსული მოვლენაა: რამდენიმე მთავარსარდალი იყო საქართველოში: რუსეთის ჯარების, სასაზღვრო ჯარების, საჰაერო თავდაცვის და ბომბორაში დისლოცირებული ჯარების ნაწილების (რომლებიც უშუალოდ მოსკოვს ექვემდებარებიან) მთავარსარდლები. ეს საკითხიც მოწესრიგდა, პრეზიდენტის მითითებით საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების მთავარსარდალს (ალბათ, ეს იქნება გენერალ-ლეიტენანტი რეუტი) ყველა საჯარისო ფორმირება დაექვემდებარება.

— მიგაჩნიათ, რომ დღევანდელ შეხვედრაზე დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობს კონფლიქტის დამთავრებას?

— უნდა შეუწყოს. გარკვეული ეჭვები მაინც რჩება. 92 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში მეტად მაღალი რანგის ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი, მაგრამ ზუსტად ორი კვირის თავზე ამ დოკუმენტების რევიზიის ტენდენცია გაჩნდა. ხელმოწერილი დოკუმენტების შეუსრულებლობის პრეცედენტი მეტად უარყოფითი მუხტის მატარებელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფუძემდებელი მაინც 3 სექტემბრის დოკუმენტებია, თუმცა, არის ახალი ნიუანსებიც. ძირითადად, ესაა საერთაშორისო ორგანიზაციების — გაეროს მისიის, ევროპის უშიშროების სტრუქტურების მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

— არძინბა კი მოითხოვს ქართული ჯარის ნაწილების გაყვანას აფხაზეთიდან (16 მაისს „ვესტის" საღამოს გამოშვებაში არძინბა კვლავ დაადასტურებს, თავის ამ პოზიციას. — ავტ.).

— ვერ გამიგია, რას ნიშნავს „ქართული ნაწილების გამოყვანა"?! ამჟამად აქ ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული ნაწილები იბრძვიან. არძინბას ლოგიკით სოხუმელი ბიჭები, რომლებიც იქ დგანან, უნდა გავიყვანოთ თბილისში ან თელავში. ასეთივე წარმატებით ჩვენც შეგვეძლია მოვთხოვოთ გუდაუთიდან გაიყვანონ აფხაზური შენაერთები. მაგრამ სად? აი, როგორი აბსურდულია მისი მოთხოვნა. მით უფრო, რომ სამმხრივმა კომისიამ შარშან სექტემბერში დაასკვნა — ყველა ძირითადი მაგისტრალი, ყველა საინჟინრო ნაგებობა — ხიდები, გვირაბები, აეროდრომები — უნდა გააკონტროლონ ქართულმა სამხედრო ნაწილებმა. ეს, მინიმუმ, შვიდი ათასი კაცია. აფხაზეთში ახლა ამაზე მეტი ჯარისკაცი არ იბრძვის. ვის გამოყვანაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ კი შეწყდება სამხედრო კონფრონტაცია?

— რჩება თუ არა რუსეთი შუამავლის როლში, როგორც ეს 3 სექტემბრის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული?

— ამ კონფლიქტში რუსეთი უკვე მონაწილეობს, როგორც დაინტერესებული მხარე. ამიტომ, მშვიდობის დამყარების მისიას ვეღარ იკისრებს. ჩვენ წარვადგინეთ ფაქტები, რომლებიც ადასტურებს, რომ რუსეთის სამხედრო ძალა, ტექნიკა, თვითმფრინავები, უშუალოდ მონაწილეობს სამხედრო კონფლიქტში.

— მოსკოვი დაგეთანხმათ?

— მოსკოვი იმას დათანხმდა, რომ უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციები. შეიძლება დიდი სიხარულით არა, მაგრამ მაინც დაყაბულდა, რომ 20 მაისს ჩამოვა გაეროს სოლიდური მისია, სოხუმში დაიდებს ბინას და დაწვრილებით შეისწავლის მთელ ამ კონფლიქტს.

— უკრაინის საშუამავლო როლის თაობაზე რას იტყვით?

— მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც განსაზღვრავს გაერო, ევროპის უშიშროების საბჭო, შეიძლება დაეკისროს ასეთი ფუნქცია. შესაძლოა, უკრაინაც იყოს, რუმინეთიც, ესტონეთიც, უნგრეთიც და ლიტვაც.

— უკრაინის საკითხი კონკრეტულად თუ განიხილეთ?

— უკრაინის მონაწილეობის საკითხი სახელდებით არ განხილულა. ისე კი, პრეზიდენტ კრავჩუკის პოზიცია ამასთან დაკავშირებით, ცნობილია.

— აფხაზებს მიაჩნიათ, რომ რუსეთი — ეს არის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია იტვირთოს მშვიდობის დამამყარებლის როლი. თქვენ რას ფიქრობთ?

— ეს რადიოსადგურ „თავისუფლების" რუსული განყოფილების კორესპონდენტის შეკითხვაა, რომელსაც იგი ვერდაფარული აფხაზური კილოთი წარმოთქვამს.

— ჯერ ერთი, გაეროს რეკომენდაციაში პირდაპირაა თქმული, რომ მეზობელი ქვეყანა არ შეიძლება იყოს მედიატორის როლში.

— მაგრამ გაეროს რეკომენდაცია ეს ხომ... — რაღაცას ეძებს „თავისუფლების" კორესპონდენტი.

— გაეროს რეკომენდაციები უნდა გავითვალისწინოთ, — **აუღელვებლად — უპასუხებს თენგიზ სიგუა.** — ვიმეორებ, რუსეთი უნდა მონაწილეობდეს, მაგრამ არა, როგორც ერთადერთი მშვიდობისმოყვარე ძალა, არამედ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად.

— სოჭის მოლაპარაკების სიმწვავე მოსკოვშიც გადმოგყვათ?— ვეკითხები.

— არა. მოლაპარაკება მშვიდად მიმდინარეობდა. იყო, ცხადია, მწვავე საკითხები, მაგრამ ამ სიმწვავეს, მოლაპარაკების ატმოსფეროზე გავლენა არ მოუხდენია.

— შეიძლება ითქვას, რომ სოჭის შეხვედრებმა გარკვეული საფუძველი შექმნა?

— მე მგონი, — კი...

მაგრამ გაცდის ლაპარაკს „თავისუფლების" ყალბად მომღიმარი კორესპონდენტი?

— რატომ დათანხმდა მოლაპარაკებას რუსეთი მხოლოდ კიტოვანის გადადგომის შემდეგ?

— კიტოვანის გადადგომა აქ არაფერ შუაშია. ჩემი აზრით, გადამწყვეტი მაინც 6 სექტემბერს მაიკოპში გამართული შეხვედრა იყო, რომელშიც აფხაზეთის მხარეც მონაწილეობდა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი. ამ მოლაპარაკების დეტალები ჩვენთვის ცნობილი არ არის. მაგრამ, ჩანს, ბატონი პასტუხოვის მიერ პრეზიდენტისათვის წარდგენილი მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე სამუშაო შეხვედრის ჩატარების შესახებ.

ჩიჩქნის და ჩიჩქნის „თავისუფლების" უსიმპატიო კორესპონდენტი:

— თქვენ თქვით, რომ მაიკოპის შეხვედრა თქვენთვის უცნობია (ასე თქვა, ზუსტი თარგმანია. — **ავტ.**), **საქართველოს ელჩმა კი როგორღაც მითხრა, რომ ქართული მხარე ჩაყენებულია საქმის კურსში** (პლაკის რუსულია, მაგრამ ასე აწყობს წინადადებას. — **ავტ.**), **ერთმანეთს როგორღაც პროტივორეჩიტეს.** (ამის თარგმნა მე არ შემიძლია. — **ავტ.**).

— არა, აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. მაგრამ ჩვენთვის უცნობია დეტალები შეხვედრის იმ ნაწილისა, რომელიც დახურულ კარს იქით მიმდინარეობდა.

მაიკოპის შეხვედრის შესახებ წინასწარ გაცნობათ თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ან პრეზიდენტის აპარატმა, ბატონო თენგიზ, — შეეკითხა რუსი კოლეგა:

— არა, ოფიციალური შეტყობინება არ მიგვიღია. მაგრამ ეს შეხვედრა რომ შედგებოდა, ვიცოდით, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ეს მოსამზადებელი, არაოფიციალური შეხვედრა იყო.

გგონიათ, დაცხრა „თავისუფლების" კორესპონდენტი, თავისას ვერ მიაღწია და გაჩუმდა? არაფერი მსგავსი:

— ესე იგი, ჩვენ რომ დავიმოწმეთ საქართველოს ელჩი, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არასარწმუნო წყაროებია? (ნედოსტოვერნიე ისტოჩნიკი).

— არა, — **ისევ უხსნის ბატონი თენგიზი,** — ასე თქმა არ შეიძლება. მოლაპარაკების დროს არის ოფიციალური, ღია ნაწილი, რომლის შესახებაც იწერება პრესაში, მაგრამ არის მეორე ნაწილიც...

ვინ აცლის:

— ვი, ვი, ვი, ვი (თქვენო, ესე იგი, მაგრამ რბილი „ი" და არა მაგარი. — **ავტ.**) **გოვორიტე სოვერშენო დრუგოე.**

— მე არ ვლაპარაკობ სხვა რამეს...

ისევ არ ამთავრებინებს აზრს და — საიდან სადაო — თავისას გაუტევს:

— თქვენ ამბობთ, რომ რუსეთს არ შეუძლია შეასრულოს როლი... — დაიბნა. ვიღაცას შეეცოდა და შეაშველა — მშვიდობისმყოფელის როლი.

გაიმეორა ნაკარნახევი.

თენგიზ სიგუა ისევ მშვიდად აუხსნის ყველაფერს, რაც ზემოთ უკვე თქვა რუსეთის როლისა და ადგილის შესახებ, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში.

შემდეგ, უკვე სხვა კორესპონდენტების შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეეხება საკითხს, რომ ყველა რატომღაც ივიწყებს კონფლიქტში მონაწილე ორ ძირითად მხარეს — გუდაუთას და სოხუმს. თბილისი, გაერო, ევროუშიშროების საბჭო, რუსეთი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოლაპარაკებათა თანამონაწილენი. სოხუმის ოფიციალური მთავრობის უგულებელყოფა არ შეიძლება, მაგრამ სწორედ ამის გაკეთებას ცდილობენ, და რომ მოლაპარაკების შემდეგ ეტაპზე იგი მონაწილეობას მიიღებს, როგორც სრულუფლებიანი წევრი.

4. ამასობაში — ჟირინოვსკი

ამასობაში, როგორც მაწანწალა ძაღლი შემწვარი ხორცის სუნზე, ჟირინოვსკი შემოწკავწკავდება აფხაზი დედაკაცების თანხლებით საელჩოს წინ, ქუჩაში. დედაკაცებმა იყვირეს, იყვირეს და წავიდნენ.

დარჩა ჟირინოვსკი, ორი დროშით, შვიდიოდე „თანამებრძოლის" და აკვიატებული იდეის ანაბარა:

— მე არც ერთ პოლიტიკურ ლიდერს არ ვუჭერ მხარს, — მხოლოდ იდეას: თუ ჩვენ მშვიდობა გვსურს, ჩვენ აღვადგენთ რუსეთის სახელმწიფოს — არა საბჭოთა კავშირს, არა იმპერიას. ეს იქნება საერთო სახელმწიფო ყველასთვის, საერთო-ევროპული, აღმოსავლეთ ევროპის, მათ შორის, საქართველოსთვისაც. თუ თქვენ გსურთ ომი, იომებთ. იომებთ აფხაზებთან, ოსებთან, აზერბაიჯანელებთან, სომხებთან, თურქებთან. იომებთ 10-15-20 წელიწადს. უსასრულო ომი განადგურებამდე. თუ თქვენ, ქართველებს დაღუპვა გსურთ, რადი ბოგა, დაიღუპეთ! ჩვენ რუსები არ ვიომებთ! დამთავრდა! დავიღალეთ! ტაჯიკები დახოცავენ ერთმანეთს, უზბეკებიც დახოცავენ ერთმანეთს, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩვენ არ ვიომებთ!

კომენტარი?
ამ აბდაუბდის?
ჭკუა ხომ დაგვარიგა?

* * *

ძალიან პატარა ჩანდა საქართველოს საელჩოს ფანჯრიდან ანატოლი ვოლფოვიჩი. ჟირინოვსკი.

მოსკოვი-თბილისი.

(დასასრული იქნება).

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!

«თბილკომბანკი» "TBILCOMBANK"

გთავაზობთ

მომსახურეობას ფაქტორინგული ოპერაციების წარმოების სახით. ჩვენ შევისყიდით თქვენს დებიტორულ დავალიანებას და აღარ დაგჭირდებათ საბანკო სესხის აღება. შეუფერხებლად ამოძრავდება თქვენი თანხები.

საკომისიო გადასახადი ჩვენთან ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ნებისმიერი საბანკო სესხის საპროცენტო განაკვეთი.

ფაქტორინგის საწარმოებლად ორგანიზაციებისაგან განცხადებების მიღება ლიმიტირებულია!

ჩვენი მისამართია: თავისუფლების მოედანი, შ.დადიანის ქ. №2 /მე-8 სართ./ ტელ. 985397; 984770

აფხაზეთი: რეპორტაჟი ომიდან

ომი ყველაფერს არ ჩამოწერს

ალეკო ასლანიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტი.

სოფელი ცეცხლის ხაზზე

სოხუმ-ოჩამჩირის გზატკეცილი უსიტყვოდ გიამბობთ გადახდილ ბრძოლებზე. ნასოფლარებად ქცეული სოფლები, ჩაქცეული ხიდები... დრო და დრო სიღრმიდან, მთიზისკენ, ქუხილი ისმის — ეს ლაბრასთან გრძელდება საარტილერიო დუელი...

ლაბრა-ცაგერა-არადუ-მერკულას ტეხილი რკალი დღეს ის ცოცხალი გალავანია, რომელიც ამ ტრასასა და ქალაქ ოჩამჩირეს იცავს მჭიდროდ შემოჯარულ აფხაზურ სოფლებში ჩასანგრებული მოწინააღმდეგისაგან.

სოფელი ცაგერა ზედ გზატკეცილზეა, ოჩამჩირიდან ათიოდ კილომეტრზე. როცა ომი მათს პატარა სოფელს მოადგა, იქაური მამაკაცები ლტოლვილის სტატუსით არ გაცვენილან სხვადასხვა მხარეს. ყველა ერთ მუშტად შეიკრა და პირველი დღეებიდანვე ჩაება ბრძოლაში. ხელებდაკოჟრილი მიწისმუშები გზადაგზა სწავლობდნენ იარაღის ხმარებას.

ოქტომბერში, როცა კოჩარა მტრის ხელში ჩავარდა (თუ რატომ აღმოჩნდა ეს დიდი, ხალხმრავალი ქართული დასახლება თითქმის უსისხლოდ ჩაბარებული, ცალკე საუბრის თემაა!) და ფრონტის ხაზი უშუალოდ ცაგერასთან გავიდა, სოფელში საკუთარი ბატალიონი ჩამოყალიბდა (მოგვიანებით მას კოჩარიდან გამოღწეულნიც შეუერთდნენ). მეთაურობა სიმამაცითა და სიმტკიცით გამორჩეულ სოსო სილაგაძეს მიანდო.

ბატალიონმა მძიმე ბრძოლები გადაიხადა სოფელ ცხენისწყალთან, კოჩარის მიმართულებით... გაუძლო მასირებულ შემოტევას 1 მარტს, როცა აფხაზმა მებრძოლებმა სოხუმ-ოჩამჩირის ტრასის გადაკეტვა და ცაგერაში შემოჭრა მოიწადინეს. მაშინ მძიმედ დაჭრილი სოსო სილაგაძის ნაცვლად მეთაურობა მისმა მოადგილემ პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში, სოფლის კომენდანტმა რომან ხეცურიანმა ითავა და საჩხერის ბატალიონის (მეთაური — სოსო ქუთათელაძე) დახმარებით მტერი შეაჩერა.

იყო თავზარდამცემი დღეებიც, როცა მებრძოლებით სავსე ტრაქტორის ლაფეტი ნაღმს წააწყდა და ერთბაშად 11 კაცი ემსხვერპლა, როცა ცაგერა, 12 მარტს, მტრის ავიაციამ დაბომბა...

უკვე 28 თანასოფლელი მიაბარეს მიწას.

მრავალმა ცაგერელმა ისახელა თავი. ტანკისტმა ჯუმბერ ჩიკვაიძემ ბესლახუბასთან მტრის ქვეითთა საბრძოლო მანქანა გაიტანა. მთავრობის ჯილდოებზე არიან წარდგენილი მიშა სიდოროვი (სიკვდილის შემდეგ), გენადი ჩხეტიანი, ტარიელ მანდარია და რომან სილაგაძე...

ამ სოფლის მკვიდრია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის პროფესორი შოთა ხეცურიანი. ეს ხანდაზმული, გაუტეხელი კაცი ფეხმოუცვლელად დგას თანასოფლელთა მხარდამხარ. პირად მწუხარებას სძლია (ვაჟი დაეღუპა) და აქტიური წვლილი შეაქვს თანასოფლელთა დარაზმვაში, სამეურნეო საქმიანობაში. ცაგერა იბრძვის და შრომობს. საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორი ჭიჭიკო თუთისანი ხვალინდელ დღეზეც ფიქრობს, ხვნა-თესვისთვის ემზადება. ცა და ქვეყანა შეაჯერა და ცოტა სასუქი და საწვავი იშოვა, არსებობას განაგრძობს მეცხოველეობის ფერმა...

ჭირი და ლხინი განუყოფელი აქვთ ცაგერასა და მის მეზობელ არადუს.

არადუ ღრმად არის შეჭრილი აფხაზურ გარემოცვაში. მერკულა-არადუს ბატალიონის (მეთაური — მურად ბოკუჩავა) ორი ასეული ამ სოფლის ირგვლივ 6-კილომეტრიან ხაზს იცავს (ასეულების მეთაურები — ემზარ ფუტკარაძე და ტარიელ ფოჩხიძე).

არადუმ აგვისტოშივე დაიწყო წინააღმდეგობის ორგანიზება ჯემალ ბეწვლიანის ხელმძღვანელობით. სახალხო ლაშქარი დეკემბრიდან საჯარისო ნაწილებად გარდაიქმნა, მათში პრაქტიკულად ყველა იქაური მამაკაცი (18-დან 67 წლამდე ასაკის) შედის. საგუშაგოებზე ერთად დგანან ძმები ემზარ, მაიზერ და ილდარ ფუტკარაძეები, ჯუმბერ, ჯამბულ და ჯემშერ ცოორბელიძეები, შაქრო და ელგუჯა ბენიძეები, მამა-შვილი შარდენ და ლადო კოპალიანები (ლადო ხარკოვში ცხოვრობს, სპეციალურად დაბრუნდა. თვეების მანძილზე მათს გვერდით იყო ოჯახის უფროსი ვაჟი როლანდი, ის ახლა სოხუმში იხდის მხედრულ ვალს), ნათესავები და მეზობლები — ბორის და მამულედ ლეთოდიანები, ელგუჯა კოპალიანი, ბადრი გოლეთიანი, ავთო ქომეთიანი, ბახვა ბენდელიანი, ჯეირან აკობიძე....

გმირობის ტოლფასია აქაური ქალების ყოველდღიური შრომა და ყოფა. გამოთოფილ სახლებსა და ეზოებში ჯარისკაცი ქმარშვილისთვის სადილის მომზადება და სხვა საოჯახო საქმე დიდ სულიერ სიმტკიცეს მოითხოვს.

ხომ ასე გამწარებულია არადუ სეპარატისტებისგან, მაგრამ ჯერ არავის მოსვლია აზრად შეევიწროებინა იქ მცხოვრები 14 აფხაზური ოჯახი. 24 აპრილს დივერსანტებმა ასმეთაურ ტარიელ ფოჩხიძეს სახლი დაუწვეს. მეზობლად აფხაზი ძმების შადანიების სახლები დგას, სამაგიეროს მათთვის მიგება არც ტარიელს უფიქრია და არც სხვას. თვისტომთა დანაშაული მათთვის არც მაშინ უზღვევინებიათ, როცა მერკულასთან ტყვედ ჩავარდნილი იური ყურაშვილის ყურებ და ცხვირმოჭრილი, ფრჩხილებდაგლეჯილი ცხედარი ერთი კვირის ვაჭრობის შემდეგ გამოისყიდეს. ჩვენ ქართველები ვართ და მტრობასთან ერთად დანდობაც ვიცითო, მითხრეს.

არადუმ უკვე 14 მებრძოლის სიცოცხლე გაიღო. მაგრამ დანაკარგმა უფრო განამტკიცა სოფელი. შეუვალად არის ჩაკეტილი პიკეტებითა და სანგრებით. მტერი კი ხელის გაწვდენაზე, სულ 200-300 მეტრზეა ჩასაფრებული...

ცაგერა და არადუ აფხაზეთის ქართული სოფლების დღევანდელი გასამხედროებული ყოფის, გმირული ბრძოლისა და ასევე გმირული შრომის რიგითი მაგალითებია.

გენერალი გენო ბიძია

ყოველ ქალაქს ჰყავს რამდენიმე კაცი, რომლებიც გამორჩეულ კოლორიტს უქმნიან, მის ერთგვარ „სადარბაზო ბარათებს" წარმოადგენენ.

გენო ადამია და სოხუმი წარმოუდგენელია ურთმანეთოდ.

შფოთიანი ახალგაზრდობა ჰქონდა. კედლის გამნგრევი მუშტით, უკომპრომისო სამართლიანობით, ყველა ჯურის ხალხთან საერთო ენის გამონახვის ნიჭით ყმაწვილობიდან დაიმკვიდრა ნაღდი კაცის სახელი. რაიმე, ნამცეცა თანამდებობაც კი არ ჰქონია, მაგრამ „ხელში ეჭირა" სოხუმი, ის განსჯიდა სახალხო დიპლომატიას.

არასოდეს აკლდა ადამიანთა მიზიდვის, დარაზმვის უნარი, მაგრამ, როდესაც აფხაზეთს ომი მოადგა, ის უნარი დიდ ორგანიზატორულ ძალისხმევად იქცა (თუმცა ამ 57 წლის, გარეგნულად ჯანღონით სავსე კაცს, შარშანწინ გულის უმძიმესი ოპერაცია რომ გადაიტანა, დროდადრო, წვეთოვანას მიშველიება სჭირდება ხოლმე).

მეორე საარმიო კორპუსის სოხუმის დამცველი 23-ე მექანიზებული ბრიგადა, ფაქტობრივად, მისი შექმნილია. პირველ დღეებშივე თოფქვეშ დააყენა 150 საგანგებოდ შერჩეული ვაჟკაცი. ამ რაზმმა თანდათან იმატა და საბოლოოდ მძლავრ, სისხლსავსე შენაერთად იქცა. 1992 წლის ნოემბრის ბოლოდან გენო ადამია ამ ბრიგადის მეთაურია. წლეულს, 6 მარტს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

იმის მიუხედავად, რომ მთელ ბრიგადაში მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი კადრის ოფიცრები მოეძებნებათ, მეღგრად იგერიებენ ქალაქზე მოჯარულ, რუსი სპეციალისტებით გულმოცემულ მტერს. ოფიცრები მაკლია, მაგრამ ვინც მყავს, სხვისას ათს სჯობს თითოეულით და მაგალითისთვის თავისი შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გურამ ღურბელიშვილი დაასახელა.

...ოთახში სამხედროფორმიანნი, აქოშინებული მთასავით ჯეელი შემოიყუდა:

— დაგიბარებივარ, გენო ბიძია! — მერე შეცბა და გაიჭიმა, — ბატონო გენერალო, თქვენი ბრძანებით გამოვცხადდი...

— თანდათან ვსწავლობთ ომსაც და სამხედრო ცხოვრებასაც, — ჩაიცინა, როცა ახლადგამომცხვარი უფროსი ლეიტენანტი გაისტუმრა, — ჰოდა, იმას გეუბნებოდით: არც ერთ პარტიას არ მივემხრობივარ. სამეგრელოში არეულობა რომ დაიწყო, ფეხი არ ჩამიდგამს იქ. რატომ, იცით? რას გვარგებს ერთმანეთში დარევა, მეორეც, ქართველი ქართველზე რომ ხელს აღმართავს, ამაზე დიდი ცოდვა არ არსებობს. შევარდნაძეს უჭირდება ზოგი. შემცვლელი კი მოიძებნება, მაგრამ წაადგება ეს საქმეს და ქვეყანას? ასწევს ის ახალი კაცი ედუარდის ასწევს? ვერ ასწევს და ჭკუით იყოს ყველა, ნუ გავაცინებთ მტერს. ამას გენერლობა კი არა, რეალობა მალაპარაკებს (57 წელიწადი ჩემს ქვეყანაზე მიცხოვრია და ახლა შევირცხვენ თავს, სხვის საამებლად ისეთ რამეს ვიტყვი, რასაც არ ვფიქრობ და არ მჯერა?!). რაც შეეხება გამარჯვებას: გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, თავს არც ვიცოცხლებდი...

აკრძალული „თვითმოქმედება"

23-ე ბრიგადის კავშირგაბმულობის ბატალიონი ძირითადად სოფელ ბესლეთის მცხოვრებლებისგან შედგება. ისინი იმ ბიჭების გარშემო დაირაზმნენ, 1989 წლის ივლისის მოვლენების დროს მრავალი სოხუმელი ქართველის სიცოცხლე რომ იხსნეს.

ბატალიონის მეთაური, თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფიზკულტურისა და სპორტის უფროსი მასწავლებელი რეზო ასმავა და მისი მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში, აფხაზეთის განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი ზურაბ შენგელია გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობენ თანამებრძოლებში, ენდობიან, სჯერათ მათი, გამოცდილი ჰყავთ ბრძოლაშიც და კაცობაშიც. მთელი ოჯახები დგანან მწყობრში: ძმები მალხაზ, ნუკრი, შოთა, ზაქრო და გოჩა შონიები, დათო და რაულ თოდუები, მურთაზ და ალეკო ბერულავები, მამა-შვილი ავთანდილ და კახა ნიკოლაევები..

ერთი თავისებურებით გამოირჩევა ეს ბატალიონი — „თვითშეიარაღებაზეა" გადასული. თუკი სადმე მოძველებულ და გამოუსადეგარ იარაღს წააწყდებიან, ოფლს მოიწურავენ და გამართავენ.

მართალია, სარდლობა კრძალავს ასეთ „თვითმოქმედებას", მაგრამ სხვა გზა რომ არა აქვთ? როცა ჯარს იარაღი არ ჰყოფნის, შექმნილი ვითარება თვითონ გიჩვენებს გამოსავალს. ჰოდა, ბატალიონში ნახავთ თვითნაკეთ ნაღმტყორცნებს, დამწვარი ჯავშანტრანსპორტიორიდან ამოღებულ მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს სახელდახელოდ მორგებული სადგარით, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ტანკსაწინააღმდეგო თოფსაც კი, რომელიც საგულდაგულოდ შეუკეთებიათ. ისე უბათქუნებს, თქვენი მოწონებული.

ორი აფეთქებული ტანკიდან ერთი ააწყვეს და ბრძოლაშიც გამოსცადეს. მანამდე გვაქილიკებდნენ, მერე, რომ ივარგა, კორპუსმა მაგდანას ლურჯასავით წაგვართვაო, იცინიან.

დიმურ ქარდავა ჰყავთ ამეების ოსტატი, მართლაც ოქროს ხელი აქვს ამ კაცს.

— შრომა და მშვიდობა მოგვენატრა. დამთავრდება ომი და, პირველ ყოვლისა, ბესლეთში ეკლესიას დავამთავრებთ, 1989 წლიდან ვაშენებთ ძველის საძირკველზე, ცნობილი თამარის ხიდის ახლოს, — მითხრა რეზო ასმავამ და მუხლზე დადებულ ავტომატს მოეფერა.

ცხოვრება მაინც გრძელდება

8 ათასამდე სახლია დამწვარ-დანგრეული აფხაზეთში (იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს), მწყობრიდან არის გამოსული ათობით საწარმო, დაღვრილია ზღვა სისხლი, მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება.

აფხაზეთის განათლების მინისტრ ბატონ ჯანო ჯანელიძისგან შევიტყვე: სოხუმის 20 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან მუშაობს 12, მხოლოდ ცეცხლის ხაზის ახლოს მდებარე სკოლები არ იღებენ ბავშვებს. მოქმედებს ოჩამჩირის სკოლებიც, მათ შორის — ზოგიერთ სოფელშიც. სამაგიეროდ, დაკეტილია (უმრავლესობა დამწვარია) გაგრა-გუდაუთის ყველა ქართული საბავშვო ბაღი და სკოლა. მასწავლებლები სამუშაოდან გათავისუფლებულნი არიან „საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო".

სოხუმში, რომელიც ყოველდღიურად იბომბება, ასუფთავებენ ქუჩებს, არემონტებენ გზებს, ბარავენ სკვერებს...

ოჩამჩირის გამგებელმა ბატონმა ხუტა გუგუჩიამ მითხრა: რაიონი ამ ბოლო დროს ელექტროენერგიით შეუფერხებლად მოეწოდება, მუშაობს აუცილებელი სასიცოცხლო ობიექტები — პურისა და ზეთსახდელი ქარხნები, კომუნალური მეურნეობა, მაღაზიები, გამოდის რაიონული გაზეთი. ყოველდღიურად 14 ათას ცალ პურს ვაცხობთ, მაგრამ დეფიციტი მაინც არის — მომხმარებლის რაოდენობა გაიზარდა სოფლელთა ხარჯზე, რომლებმაც ამ შემოდგომაზე სიმინდის აღება ვერ მოახერხეს. ქალაქში იგება ასფალტი. მოგვარდა პენსიებისა და ლტოლვილთათვის დახმარების გაცემა. რა გვემღერება, მაგრამ ჩვენი თვითმოქმედი ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს. გაჭირვებით, ტყვიის ქვეშ, მაგრამ საგაზაფხულო სამუშაოებიც მიმდინარეობს. ქართული მხარე რაიონის სავარგულების მხოლოდ ერთ მეთერთმეტედ და ჩაის პლანტაციების ერთ მეექვსედ ნაწილს აკონტროლებს. მაინც შეძლებისდაგვარად, ყველაფერი კეთდება. ამ დღეებში ქალაქში 500-კაციანი სასადილო გაიხსნება, სადაც უფასოდ გამოვკვებავთ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფთ, ლტოლვილებს (ოჩამჩირეში 4500 ლტოლვილია რეგისტრირებული).

ერთი სიტყვით, არის ომი და არის ყოველდღიური ცხოვრება.

* * *

...**იმ** თვითმფრინავით, რომლითაც თბილისში დავბრუნდი, ლაბრასთან დაღუპულ ქართველ შეიარაღებულთა ლეგიონის მებრძოლებს ზურაბ ჩაჩუას და კახაბერ ხიდაშელს მოასვენებდნენ.

— ბოლოს და ბოლოს, როდის დასრულდება ეს წყეული ომი?— ვკითხე თანამგზავრს — თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, საქართველოს შეიარაღებულ ძალთა სარდალს, გენერალ ანატოლი კამკამიძეს.

— როდესაც მთელი საქართველო გაითავისებს, რომ საქართველოში ნამდვილი ომია! — მოკლედ მომიჭრა მან.

დასასრული. დასაწყისი იხ. №№ 92, 95-96, 100.

„სპილენძის ციებ-ცხელება"

„საქართველოს რესპუბლიკა", № 9

რედაქციას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე

ი. ქადაგიშვილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" რუბრიკით „სარედაქციო ფოსტიდან" დაიბეჭდა წერილი „სპილენძის ციებ-ცხელება," რომლის გამო გაცნობებთ: „საქართველოს ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის დროებით შეჩერების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს № 802 და 1993 წლის 25 იანვრის № 40 დადგენილებების თანახმად რესპუბლიკის საბაჟო სამსახური ახორციელებს მკაცრ კონტროლს, რათა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საქართველოს ტერიტორიიდან არ გაიტანონ ფერადი ლითონების ჯართი. ბათუმის საბაჟომ უკვე დააკავა 100 ტონაზე მეტი, ხოლო ფოთის საბაჟომ — 10 ტონამდე.

ამასთანავე, თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 26 აგვისტოს № 807 დადგენილებისა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების დროებითი წესების შესახებ რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები აფორმებენ და ატარებენ მხოლოდ იმ ტვირთებს, რომლებზეც საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ არის გაცემული შესაბამისი ლიცენზიები.

ESM
თბილისი/TBILISI

ევროპული განათლება და ევროპული დიპლომი თბილისში

საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ESM-თბილისი ერთადერთია რესპუბლიკაში, რომელიც ევროპულ დიპლომს გასცემს.

ESM-თბილისი ESM-International-სთან ერთად ამზადებს ფინანსების მენეჯერს, მარკეტინგის მენეჯერს და საერთაშორისო-კომერციული საქმიანობის მენეჯერს. გათვალისწინებულია სტაჟირებები და პრაქტიკები საზღვარგარეთის ქვეყნებში. წარმატებით კურსდამთავრებული მიიღებს ESM-International-ის დიპლომს.

ESM-თბილისი მოსბახის სპეციალურ აკადემიასთან (გფრ) ერთად ამზადებს მენეჯერს კომერციის დარგში. დამამთავრებელ კურსს სტუდენტები გერმანიაში გაივლიან. წარმატებით კურსდამთავრებული მიიღებს მოსბახის სპეციალური აკადემიის დიპლომს.

სწავლების ვადა 5 წელია. მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირები 25 წლის ასაკამდე. სწავლება ფასიანია. მისაღები გამოცდები ჩატარდება ივლისში მათემატიკაში (ტესტები), უცხო ენაში (ტესტები) და ქართულ წერაში (წაკითხულის შინაარსი).

შაბათს, 22 მაისს 12 საათზე გიწვევთ ღია კარის დღეზე, სადაც შესაძლებლობა გექნებათ გაივარჯიშოთ მათემატიკისა და უცხო ენის ტესტურ გამოცდებში და პასუხი მიიღოთ თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39.16.73 39.44.57
ან მობრძანდით: ვაჟა-ფშაველას 40,
ESM-თბილისი, ოთახი N 409

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტარის აჭარული დღიურიდან

განხეთქილების ვაშლი

რევაზ ჯაფარიძე.

სიძულვილს გაუხლეჩია და რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად დაუნაწევრებია ჯერ კიდევ გუშინ ერთიანი, ერის მაშვრალ მამათა დაუღალავი მეცადინეობით თავმოყრილი, ერთ მძლავრ მუშტად შეკრული საქართველო. უაზრო, აუხსნელი და ლოგიკურ კანონზომიერებას მოკლებული სიძულვილი ჩამდგარა ძმასა და ძმას შორის, ცოლსა და ქმარს შორის, მამასა და შვილს შორის. დაუძინებელ მტრებად ქცეულან და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებიან ისინი, რომელთა გულებს შორის ურთიერთსიყვარულისა და თანადგომის ხიდი იყო გადებული და ამ ხიდის დანგრევასა და იავარქმნას ვერავინ ვერასოდეს წარმოიდგენდა. შეგინებულია და ფეხქვეშ უდიერად გათელილია ყოველივე წმიდა და სულის ამამაღლებელი, რაც კი ერს გააჩნდა, ლაფში ამოსვრილია მისი ღირსება, ამაყი და თავმოყვარე ქართველი კაცი საუკუნეების მანძილზე საკუთარი სისხლის ფასად რომ იცავდა.

და ეს ჩადენილია არა მომხვდური მტრის მიერ, არასდროს რომ არ გვაკლდა, არამედ ამავე ერის შვილების, ქართველების ხელით, ჩვენივე ხელით.

პირდაღებული და გაოცებული შემოგვყურებს კულტურული მსოფლიო. ნუთუ ეს ის ხალხი და ქვეყანაა, ახალი ერის გარიჟრაჟზე კაცთა შორის სიყვარულის დამამკვიდრებელი რელიგია რომ აღიარა და საკაცობრიო სულიერ საგანძურში თავისი წვლილი შეიტანა, ნუთუ ეს ის ხალხი და ქვეყანაა, ათასწლეულების მანძილზე მარტოდმარტო რომ ერკინებოდა აღმოსავლეთის უნაპირო ტრამალებიდან დაძრულ ველურ ურდოებს და თავისი მოწამებრივი სისხლით საკაცობრიო ღირებულებებს იცავდა, ნუთუ ამ ხალხმა ააშენა ოშკი, ბანა, გელათი და სვეტიცხოველი, მან დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და სათავე დაუდო კაცთმოყვარეობისა და ადამიანებს შორის ურთიერთგაგების მსოფლიო ზეიმს? ნუთუ ესაა ის ერი და ქვეყანა, ვისი მეფეებიც სიბრძნითა და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდნენ, სხვისი ჭირი თავის ჭირად მიაჩნდა და მუხთალი მტრის მიერ საცხოვრისიდან აყრილ ყოველ გაჭირვებულს კარს მოყვრულად უღებდა, თავის მიწაზე ასახლებდა, ლუკმას უყოფდა და შემდეგ თვით ხდებოდა თავისი გულმოწყალების მსხვერპლი?!

დღეს სხვა დრო წამოგვეწია. ერის უძღები შვილები, შეიარაღებულ დაჯგუფებათა ფორმაში ჩაცმულნი და უფორმონი, რომელთა საერთო რიცხვი ათობითა და ასობით განისაზღვრება, თვით ანგრევენ, იტაცებენ და ხელის ჭუჭყზე გადასაცვლელად იმეტებენ ყოველივეს, რაც მაშვრალ, ღვთის მორწმუნე მამა-პაპას პატიოსანი შრომით მოუპოვებია, იმ შრომითა და რუდუნებით, დღეს რომ სამარცხვინო გამხდარა და [illegible] სათაკილოდ ითვლება.

საქართველოს ყველა ისტორიული კუთხე და რაიონი ერთმანეთს ეჯიბრება სულმდაბლობასა და უსინდისობაში, ქურდ-ბაცაცობაში, ყაჩაღურ თავდასხმებში, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გატაცებაში, ჩასაფრებაში, განზრახ მკვლელობაში, მცირეწლოვანთა გაუპატიურებაში. აღარ დარჩა სახლი — გაუძარცვავი, ბინა გაუტეხავი, მანქანა გაუტაცებელი...

სამშობლოს ერთადერთი კუთხე, მეორედმოსვლაში, სისხლის წვიმების ჟამს მშვიდობიანობას დღემდე რომ ინარჩუნებს და მომავალშიაც ამასვე გვპირდება, აჭარაა, ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის მშობლიური, მრავალ ჭირგამოვლილი საყვარელი აჭარა.

დღეს ეს გარემოება მითქმა-მოთქმისა და გაოცების საგნად ქცეულა. მთელი საქართველო შინა და გარე ომშია გახვეული, მხოლოდ ამ ერთადერთ რეგიონს საქართველოისა არ შეჰხებია კაცის კვლისა და ომის მახვრალი ხელი. რა ხდება ბოლოს და ბოლოს? არის თუ არა აჭარა საქართველო? თვლიან თუ არა აჭარლები თავს ქართველებად? აწუხებთ თუ არა ის, რაც დანარჩენ ქართველებს, ორას პარტიად რომ დანაწევრებულან და მტრის გასახარად და მოყვრის გულის დასაწველად ერთმანეთს დარევიან?

ამ საჭირბოროტო კითხვამ, აჭარის ფარგლებს გარეთ ყოველ მეორე კაცს პირზე რომ აკერია, თავი იჩინა თვით აჭარაშიაც. აქაც აღმოჩნდნენ ადამიანები, მოღვაწენი, რომლებმაც ჯერ ერთმანეთს ჰკითხეს, ხოლო შემდეგ ტრიბუნაზე გამოდგნენ და იმავე კითხვით ერს მიმართეს: რად უნდა სუფევდეს მშვიდობა, ურთიერთდანდობა, მოქალაქეობრივი თავშეკავება, სახელმწიფო და პირადი ქონების ხელშეუხებლობა, საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგი აჭარაში, როდესაც აფხაზეთში ომია და მთელ საქართველოს სატანა აზანზარებს?

არეულობისა და დესტაბილიზაციის მოსურნენი ერთ ჯგუფად გაერთიანდნენ, რამდენიმე ათეული თანამოაზრე გვერდში ამოიყენეს, როგორც პარტია, სათანადო რეგისტრაციაში გაატარეს და გენერალური მიზნის მისაღწევად შესაფერისი ორიენტირიც ამოირჩიეს. მათ, ეტყობა, თავიდანვე გაითვალისწინეს, რომ მარქსისტული დებულება „გმირებს ქმნის ისტორია“ არასწორად ასახავს სინამდვილეს, რადგან ისტორიას თვით გმირები ქმნიან და არა პირიქით, როგორც მარქსსა და პლეხანოვს ეგონათ და იერიში პირდაპირ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძეზე მიიტანეს.

კაცმა რომ თქვას, შეტევის მიმართულების არჩევაში მაინც და მაინც არ შემცდარან. ასლან აბაშიძე, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი, გახლდათ სწორედ ის პიროვნება, ვინც აჭარაში მიმდინარე ამბებს თავკაცობდა და დესტაბილიზაციის მოსურნეთ, უპირველეს ყოვლისა, ვინ უნდა ჩამოეცილებინათ გზიდან თუ არა ის?!

აბაშიძეთა გვარი ისტორიული გვარია და მისი წარმომადგენლები არასოდეს არ გამოირჩეოდნენ ხასიათის სისუსტითა და გაუბედაობით. მათი აჭარული შტოს წარმომადგენელი ასლანიც არ აღმოჩნდა ის, არეულობისა და მშვიდობიანი აჭარის თავდაყირა დაყენების მოსურნეთ რომ ეგონათ. მან ბრჭყალი გამოჰყო და ყველას აგრძნობინა, კანონის მთელ სიმკაცრეს მივმართავ იმათ მიმართ, ვინც ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დესტაბილიზაციის იმპორტს მოინდომებს და ამის მისაღწევად თუნდ ერთ ნაბიჯს გადასდგამსო.

მაშინ შეფიცულმა მეამბოხეებმა ხერხს მიმართეს: [illegible] ნაკვერცხლების გამოყრა სხვისი ხელით მოიწადინეს, რისთვისაც საქართველოს სხვა რეგიონიდან ავტომატური იარაღით კბილებამდე შეიარაღებული პირები მოიწვიეს. არ ეძინა არც ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამსახურს. სარწმუნო წყაროებიდან მისთვის ცნობილი გახდა, ავტომატური იარაღით შეიარაღებული პირები აჭარას რა მიზნითაც ეწვივნენ. მიაკვლიეს მათ ადგილსამყოფელს, უკლებლივ ყველა დააკავეს, იარაღი და საბრძოლო მასალები ჩამოართვეს, ბათუმიდან ხელცარიელი გამოუშვეს და თანაც დაარიგეს, თუ აჭარაში სტუმრად ჩამოსვლას კიდევ მოიწადინებთ, კეთილი ინებეთ და უიარაღოდ ჩამობრძანდითო.

მდგომარეობა დაიძაბა. შეფიცული მეამბოხეები ხედავდნენ, რომ აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი თანდათან ძალას იკრებდა. მისი თავიდან მოშორება გადაუდებელ საქმედ იქცა.

დაიყარა ხმები, რომ აჭარა ანტიქართული საქმეების ბუდეა, რომ ამ საძრახის საქმეებს სათავეში უდგას არა სხვა ვინმე, არამედ თვით აჭარის აღორძინებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი მემედ აბაშიძის შვილიშვილი ასლან აბაშიძე, რომ ის ამ მაღალ თანამდებობაზე თვით ავადსახსენებელმა პრეზიდენტმა გამსახურდიამ გამოამწესა, რომ ის ცეცხლითა და მახვილით სდევნის ქრისტიანულ სარწმუნოებას, ბათუმი და მისი შემოგარენი ჯამეებით აავსო, აღორძინა ისლამური ფუნდამენტალიზმი, რომ აჭარაში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით თურქ რეზიდენტებს, რომლებიც ასლან აბაშიძესთან დაძვრებიან და ბნელ საქმეებს აკვარახჭინებენ, რომ აჭარის პოლიტიკური ხელმძღვანელი აშკარად, გამომწვევად პატიჟობს ბათუმის რუსული გარნიზონის და სასაზღვრო ჯარების გენერლებს და მათთან მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს, რაც თავისთავად გულისხმობს სეპარატისტულ კავშირს რუსეთის იმპერიულ წრეებთან და სხვ. და ა. შ.

ყბამყრალობამ თავისი საჭაჟო საქმე გააკეთა. შეშფოთდა მთელი საქართველო, დიდი და პატარა, თუმცა ის მაინც აუხსნელი რჩებოდა, რად სუფევდა სამოქალაქო მშვიდობა აჭარაში, რად არ კლავდა ძმა ძმას, რით და როგორ ინარჩუნებდნენ დანარჩენ საქართველოსათვის ესოდენ სანატრელ საზოგადოებრივ წესრიგს.

შარშან, რომ გამოიზაფხულა, მარტის პირველ ნახევარში, საქართველოს ტელევიზიამ ინტერვიუ სთხოვა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და სრულიად საქართველომ, პირადად ამ სტრიქონების ავტორმაც, პირველად იხილა ეს მხარბეჭიანი, სპორტული აღნაგობის, მტკიცე გამომეტყველების მქონე ტანთხელი კაცი, რომელიც ყურადღებით უსმენდა კორესპონდენტის ყოველ ახალ კითხვას, გონების სასწორზე სწონიდა და შემდეგ, პასუხის გაცემისას, ყოველი მხრიდან განიხილავდა.

ტელეკორესპონდენტი ვალერი კვარაცხელია, ჩვეულებისამებრ, კორექტული იყო, მაგრამ, ამავე დროს, საჭირო აგრესიულობასაც იჩენდა. მისი ამომწურავი კითხვები და სიტყვასა და სიტყვას შორის ნაგულისხმევი ქვეტექსტი ინტერვიუერს არავითარ გასაძრომ-გამოსაძრომს არ უტოვებდა, მაგრამ, თავის მხრივ, არც ეს უკანასკნელი ლამობდა რისამე დამალვას, პირიქით, ალაგ-ალაგ ზღვარს იქითაც კი იჭრებოდა.

თავს ნებას ვაძლევ და ქვემოთ სიტყვასიტყვით მომყავს პირადი წერილი, რომელიც ამ სტრიქონების ავტორმა იმხანად ბატონ ასლან აბაშიძეს გაუგზავნა.

„ძვირფასო ბატონო ასლან!

უდიდესი ყურადღებით და ინტერესით მოვისმინე თქვენი ინტერვიუ ტელეჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიასთან. არ შემიძლია პირადად არ გამოგიცხადოთ ჩემი კმაყოფილება. არ დაგიმალავთ, რომ თქვენი პიროვნების გარშემო სრულიად სხვა, საკმაოდ უსიამოვნო ხმები დადიოდა და ეს აწუხებდა და აშფოთებდა ყოველ შეგნებულ ქართველ მამულიშვილს. თქვენმა გამოსვლამ, თავის დაჭერამ, აზროვნების წესმა, სიდარბაისლემ, სიმტკიცემ, მოვლენების სიღრმეში წვდომამ და პირუთვნელობამ დამარწმუნა, რომ საქმე გვაქვს [illegible] მამულიშვილ პოლიტიკოსთან.

მე არ შემიძლია უშეცდომოდ განვსაზღვრო, რამდენად სწორი იყო ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებას მიაწოდეს, ის კი მინდა ვთქვა, რომ თქვენი ეროვნული და ადამიანური პოზიცია ყოველი ჯანსაღად მოაზროვნე ქართველი კაცის მხარდაჭერას და მოწონებას უნდა იმსახურებდეს.

ბატონო ასლან! თქვენი შეხედულება ყოფილი პრეზიდენტის თაობაზე ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი გახლავთ, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, დავინახო ჯანსაღი მარცვალი, რომელსაც თქვენი შეხედულება შეიცავს და რომლის უყურადღებოდ დატოვება არა და არ ეგების. ყველაფრიდან ჩანს, რომ თქვენ ნაკლებად იცნობთ ყოფილი პრეზიდენტის პიროვნებას, მე კი შეიძლება ამ მხრივ ცოტა უპირატესობა მქონდეს, ვინაიდან მისი ხასიათის ფორმირება ჩემს თვალწინ ხდებოდა. თქვენი ინტერვიუს შემდეგ მე ვხვდები, რატომაც აჭიანურებთ სესიის მოწვევას. სამწუხაროდ, არ ვიცნობ თქვენს ოპონენტებს, ე. წ. ოპოზიციას, რომელიც პრესის საშუალებით იბრძვის თქვენი „დიქტატურის“ წინააღმდეგ, მაგრამ ეგ „დიქტატურა“, გულახდილად რომ ვთქვა, ვიდრე ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობიანობა დამყარდებოდეს, გარკვეული აზრით საჭიროდაც მიმაჩნია.

შეცდომაა სასულიერო სკოლის გახსნა ზემო აჭარაში, ეროვნული ძალების უხეში ჩარევა სარწმუნოების საკითხებში, რამაც არასასიამოვნო ადგილობრივი რეაქცია გამოიწვია და საპასუხო ნაბიჯიც გადმოიდგა.

როგორც ერთ ქართველ კაცს, მიხარია და მეამაყება, რომ აჭარაში ევროპული დონის მტკიცე პოლიტიკოსი ზის თქვენი სახით, რომლისგანაც ყოველთვის გონივრულ, მშობელი ერისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს და პრაქტიკულ ნაბიჯებს უნდა მოველოდეთ“.

მაისის შუა რიცხვებში, როცა ბათუმში უზენაესი საბჭოს სესია მიმდინარეობდა, ავტორის ნებართვით ეს წერილი აჭარის ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა, რასაც კვალდაკვალ მოჰყვა ერთი იქაური უზენაესი საბჭოს დეპუტატის გამოსვლა თბილისის ტელევიზიით. გამოსვლაში ავტორიტეტულად აღინიშნა, რომ რევაზ ჯაფარიძის პირადი წერილის პრესაში გამოქვეყნება აჭარის ხელმძღვანელობის მორიგი შეცდომა იყო და რომ წერილს არამც და არამც არ უნდა ენახა დღის სინათლე.

არ უნდა იკითხოს კაცმა, რატომ? რა ვნახეთ აქ ისეთი კრიმინალი, რომ ცენზურის ხუნდებახსნილ ჩვენს ქვეყანაში იგი კაცს არ გაეგონება?

ეს არამკითხე ცენზორი გახლდათ სწორედ ის პიროვნება, რომელმაც ბათუმის აეროპორტში მომხდარი ინციდენტის გამო მშვიდობიანი აჭარის მშვიდობიანი ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე საქართველოს დაუძინებელ მტერს ტორეზ კულუმბეგოვს შეადარა და ეს მერამდენედ, ამჯერად უკვე საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან მისი გადაყენება და სამართალში მიცემა მოითხოვა.

ბატონ დეპუტატს, როგორც ჩანს, დემოკრატიული თავისუფლებანი მხოლოდ თავისთვის და თავის თანამზრახველებისათვის ემეტება, მხოლოდ იმ პირობით, თუ იგივე დემოკრატია სხვებისათვის პირგამეხებული ტირანია იქნება!

საშემოდგომო სესიაზე საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის წევრებს დაურიგდათ ამონაჭერი მოსკოვურ „ნეზავისიმაია გაზეტადან“, სადაც ბატონ ასლან აბაშიძის ინტერვიუ იყო გამოქვეყნებული.

პარლამენტარებისათვის დამატებით არავის განუმარტავს, რა მიზნით დაარიგეს ეს ამონაჭერი, თუმცა ინტერვიუში ხაზგასმულ სტრიქონებიდან და მინაწერიდან, რომ „შენიშვნები“, ე. ი. სტრიქონებს შორის გასმული ხაზები „ეკუთვნის დეპუტატ თ. დიასამიძეს“, ჩანდა, რომ მიზანი უცვლელი იყო: აჭარის ახლანდელი ხელმძღვანელის პარტიკულარული ზრახვების მხილება, მათი სამზეოზე გამოტანა, დეპუტატ ასლან აბაშიძის გაშავება და ანათემაზე გადაცემა ახალარჩეული, საქმეში ჯერაც ჩაუხედავი პარლამენტის წინაშე.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ამ ინტერვიუს ძირითად დებულებებს საფუძვლიანად განვიხილავთ.

რა უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ იქ, რა სურდა დაემტკიცებინა „შენიშვნების“ პატივცემულ ავტორს? უწინარეს ყოვლისა ასლან აბაშიძის პარტიკულარისტული, სეპარატისტული შეხედულებები, რომლებიც საბოლოო მიზნად ისახავენ საქართველოს ძირძველი კუთხის — აჭარის სამშობლოსაგან განდგომას და მოწინააღმდეგე ძალების ბანაკში მის გადაბარებას.

თუ ეს დამტკიცდება, ასლან აბაშიძის მოღალატური საქმიანობა საქვეყნოდ გამოაშკარავებული იქნება და „შენიშვნების“ ავტორს და მის ინკოგნიტო თანამოაზრეთ სიფხიზლის გამოჩენის გამო მადლობის მეტი აბა რა ეთქმით!

მაგრამ რა ვუყოთ, თუ საქართველო, ქვეყანა, რომლის განუყოფელ ნაწილსაც აჭარა წარმოადგენს, თავიდანვე, პირველი სტრიქონებიდანვე ფიგურირებს ინტერვიუში. ის სწორედ ამ სიტყვებით იწყება: „აჭარის ახლანდელი სიტუაცია საქართველოს საერთო მოვლენების ფონზე უნდა განვიხილოთ“.

რა გამოდის? აჭარა თურმე დღესაც საქართველოს ნაწილი ყოფილა და მის ავკარგში ისე ვერ გავერკვევით, თუ აქ მოქმედი მოვლენები „საქართველოს საერთო ფონზე“ არ განვიხილეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კი დღესდღეობით „მდგომარეობა ძალზე რთულია“.

ჩვენაო, ეუბნება კორესპონდენტს ასლან აბაშიძე, აჭარაში სტაბილიზაცია ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებით შევინარჩუნეთო. ვიდრე რესპუბლიკის მესვეურები პოლიტიკური ვნებათაღელვით იყვნენ გართული, ჩვენ გადავწყვიტეთ, მთელი ძალები ეკონომიკური საკითხების მოსაგვარებლად გადაგვესროლა და ამ დარგის წინ წამოწევის გზით მრავალი სოციალური პრობლემის მოგვარებისათვის მიგვეღწიაო. ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩენოდა არც ერთი მარტოხელა დედა, არც ერთი ობოლი, არც ერთი შრომის უნარს მოკლებული მოხუცებული. ჩვენ ამათ დამატებითი დახმარების ფონდი შევუქმენით იმას ზევით, რაც კანონის თანახმად პენსიების სახით ეკუთვნოდათ, წინასწარ უზრუნველვყავით მათი სოციალური დაცვაო. ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქენი უკვე აღარ იხდიან ელექტროენერგიის გადასახადს, სოფლის მოსახლეობა კი ასევე თავისუფალია ყველა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგანო.

გულზე ხელი დაიდე და მიბრძანე, მკითხველო, თუ ხედავ აქ რაიმეს, რაც საქართველოს ეროვნული ერთიანობის, მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული, თუ აწყენდა საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას, მამასისხლად ღირებული ელექტროენერგია უფასოდ რომ მიეღო და სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ყველა გლეხი ერთბაშად რომ გაეთავისუფლებინათ?

რაკი ეს საკითხი დავაყენეთ, მოდით, ნუ მოვერიდებით გამწვავებას, მივყვეთ ბოლომდე.

ასლან აბაშიძეს პირდაპირ ჰკითხეს: —

„აპირებს თუ არა აჭარა, შექმნას თავისი არმია, ურომლისოდაც თავს ვერ გაიტანს ვერც ერთი სახელმწიფო“?

კითხვაში, როგორც ხედავთ, მრავალგანზომილებიანი ქვეტექსტია ნაგულისხმევი: აპირებს თუ არა აჭარა საქართველოსაგან გამოყოფას? სურს თუ არა გამოაცხადოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა? თუ აპირებს და სურს, მაშ, თავისი საკუთარი არმიაც უნდა იყოლიოს, რათა თავი დაიცვას აგრესიისაგან თუნდაც საქართველოს მხრივ, რომლის განუყოფელ ნაწილადაც თავს ადრე აცხადებდა.

ასლან აბაშიძის პასუხი მოკლეა და მკაფიო:

„არა, აჭარა არ შექმნის თავის საკუთარ არმიას. საკმარისია ის, რომ იქმნება საქართველოს ეროვნული არმია, რომლის ქვეგანაყოფები, თუ საჭიროებამ მოიტანა, შეიძლება იდგნენ ჩვენი ავტონომიის ტერიტორიაზე“.

მაშასადამე, რა გამოდის? ასლან აბაშიძის აზრით და რწმენით, რასაც ის საქვეყნოდ აცხადებს, განსხვავებით აფხაზ სეპარატისტებისაგან, რომელთაც საქართველოსაგან ჩამოშორების სურვილი ამოძრავებთ, აჭარას არ შეიძლება ჰყავდეს თავისი საკუთარი არმია, რადგანაც ის საქართველოს შემადგენელი ნაწილია და საქართველოს ეროვნული არმიის შექმნა მას სავსებით საკმარისად მიაჩნია თავისი უშიშროების დაცვის გზაზე.

„აჭარა ისტორიულად საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, — დასძენს ასლან აბაშიძე — და ჯერ ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას რაიმე პრობლემა შეექმნას დედა-სამშობლოსათვის“.

მაშ, რით მტკიცდება, რომ აჭარა დედასამშობლოსაგან განცალკევებას აპირებს, რომ ასლან აბაშიძეს სეპარატისტული მიზნები ამოძრავებს? აკი მოსკოვური გაზეთის ამონაჭერიც სწორედ ამ იდეის გამოსააშკარავებლად და ასლან აბაშიძის ვერაგული ჩანაფიქრის მხილების მიზნით დარიგდა რესპუბლიკის პარლამენტში?

აჭარის ხელმძღვანელს კორესპონდენტმა ესეც არ აკმარა და კიდევ დაუსვა ერთი სახიფათო კითხვა:

„რატომ არ არის აჭარის ტერიტორიაზე ეროვნული გვარდიის არც ერთი რაზმი, ანდა „მხედრიონის“ ფორმირებები?“

ეს თითქმის იგივე შინაარსის შეკითხვაა, რაც მას წინ უძღვის: საქართველოს ყველა კუთხეში დგანან და მოქმედებენ ეროვნული გვარდიისა და „მხედრიონის“ ქვეგანაყოფები. თუ აჭარა საქართველოს ნაწილია და ასეთადვე რჩება, რატომ არ ვხედავთ აქ იგივეს?

ასლან აბაშიძის პასუხი:

„აჭარაში მშვიდობიანობაა და ამიტომაც არ არის საჭირო ვიყოლიოთ აქ შეიარაღებული ფორმირებები“.

ცოტა ქვემოთ ასლან აბაშიძე ავითარებს თავის აზრს და პირუთვნელად აღნიშნავს:

„ერთ-ერთი ფაქტორი აჭარის სტაბილურობისა გახლდა ის, რომ აქ არ არიან ხსენებული ფორმირებები. ამიტომაც კრიმინოგენული სიტუაცია განსხვავდება იმისაგან, რაც დღესდღეობით თბილისში სუფევს“.

აჭარის ხელმძღვანელი თავის მსჯელობაში შემოიფარგლა მარტოოდენ რესპუბლიკის დედაქალაქით და არაფერი თქვა სამეგრელოს რაიონებზე, რომელთა ტერიტორიაზე შეიარაღებული ფორმირებების თარეშმა ქვეყანა კრიტიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა და არსებითად შუაზე გახლიჩა განუყოფელი საქართველო.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ გვარდიელისა და მხედრიონელის სამხედრო ფორმით არცთუ ცოტა თავზეხელაღებული არამზადა სარგებლობს და საკუთარ დედა-სამშობლოს დაპყრობილ ქვეყანასავით აწიოკებს. როგორ გავარჩიოთ ნამდვილი გვარდიელი და მხედრიონელი არანამდვილისაგან, იმათგან, ვინც მათი ფორმით სარგებლობს? სანამ ოპერაცია არ დამთავრდება და შავი და თეთრი არ გაირკვევა, მათი ერთმანეთისაგან გარჩევა შეუძლებელია, ხოლო როდესაც ყოველივე დამთავრდება, მტყუანისა და მართლის ძიება მაშინ უკვე დაგვიანებულია.

არამზადები, რომელთაც ტანთ გვარდიელისა და მხედრიონელის სამხედრო ფორმა აცვიათ და გარეგნულად მათგან არაფრით განირჩევიან, მხოლოდ მარჯვე მომენტს ელიან, რომ შეცვივდნენ ჯერ კიდევ ხელუხლებელ აჭარაში და იქ იგივე ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთონ, დანარჩენ საქართველოში, უწინარეს ყოვლისა დასავლეთ საქართველოს რაიონებში რომ ბრიალებს!

რით შეუძლია ასლან აბაშიძეს ვითომდა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსული შეიარაღებული ფორმირებების შეკავება და, სანამ უბედურება არ მომხდარა, აჭარის ფარგლებიდან მათი კინწისკვრით გაძევება? მას არა ჰყავს საკუთარი ჯარი და, როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, არც აპირებს მის ჩამოყალიბებას. მაშ, სხვა რომელი ძალის მოშველიებით შეიძლება კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევა?

ეს კითხვა, თქვენ წარმოიდგინეთ, „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტსაც მოუვიდა და იგი ასლან აბაშიძეს დაუსვა.

ბატონმა ასლანმა ჩვეული პირდაპირობით და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უპასუხა:

„აუცილებლობის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ სამხედროებს (იგულისხმება რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების ძალით ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდგომი რუსეთის სამხედრო ძალა. — რ. ჯ.). აქ (აჭარაში. — რ. ჯ.) სამხედროებზე თავდასხმის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს მე ვუბრძანე მილიციას, გაუფრთხილებლად ესროლათ ყველას, ვინც კი სამხედროებს თავს დაესხმის“.

ამონაჭერის ეს ადგილი ტექსტში, რასაკვირველია, ხაზგასმულია. საქმეში ჩაუხედავ პარლამენტის წევრებს ამით ეუბნებიან: დახე, როგორ დგება ასლან აბაშიძე რუსების მხარეზე, როგორ აპირებს ქართველი გვარდიელებისა და მხედრიონელების ამოწყვეტას რუსული იარაღით!

ნამდვილად კი როგორ გამოიყურება საქმე?

სახელმწიფოებს შორის დადებული ოფიციალური ხელშეკრულების თანახმად საქართველოს ამ ნაწილში — აჭარაში, როგორც ცნობილია, რუსეთი თავს არავის ესხმის, არ ესხმის; რასაკვირველია, არც ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებს თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი აქ არ იმყოფებიან. თავის მხრივ, არც საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება აგზავნის მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ ძალებს სადმე, სადაც მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრება. თუ დღევანდელ მშვიდობიან აჭარაში ქართული შეიარაღებული ფორმირებები რაღაც მანქანებით მაინც აღმოჩნდებიან, შეგვიძლია თუ არა ვიფიქროთ, რომ ისინი თავიანთი კანონიერი მთავრობის ნება-სურვილს, მის ბრძანებას ასრულებენ? არა, რასაკვირველია! აქ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს უკვე წუთები წყვეტს. დაყოვნებას და ყოყმანს ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია.

აი, ვის წინააღმდეგ, რა ჯურის სამხედრო ფორმირებების წინააღმდეგ არის მიმართული ასლან აბაშიძის დაპირება, რომლის შესრულების აუცილებლობა, მადლობა ღმერთს, ჯერ არ დამდგარა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც არასოდეს დადგება!

არ არის დასამალი, რომ პარლამენტის სესიაზე გაკეთდა კატეგორიული განცხადება იმის თაობაზე, რომ გაზეთის ამონაჭერის დეპუტატებისათვის დარიგება კეთილ საქმეს არ ემსახურება, მისი შემოგდება აშკარად პროვოკაციულ მიზნებს ისახავს და ამის ასე უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგანაც კაცნი ვართ, ვაითუ ვინმეს მოთმინების ფიალა აევსოს და სამწუხარო შედეგის მოწმე და მონაწილე გავხდეთ.

ვიდრე საქართველოს პარლამენტი, ეს დიდი და მძიმე ხომალდი დაიძვროდა და შემოტრიალდებოდა, მწერალთა მეტად მცირე ჯგუფმა ერთი პატარა ნავი ვიკმარეთ და ბათუმს გავემგზავრეთ, რათა ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, საკუთარი თვალით გვენახა. დავრჩით იქ რამდენიმე დღე და ნახ-განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ აღმოვჩნდით მზითა და სიყვარულით გამთბარ საქართველოში. შემოვიარეთ აჭარის რაიონები, შევხვდით და ვესაუბრეთ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის თანამემამულეებს, გავმართეთ ლიტერატურული საღამოები. დარბაზებში ხალხის ტევა არ იყო. გვაოცებდა გვიან ღამემდე მშვიდობიან მოსეირნეთა სიმრავლე ბათუმის ქუჩებში და ზღვის სანაპირო ბულვარებში, ხალვათობა პურისა და სურსათის მაღაზიებში და ერთთავად თვალწინ გვედგა ჩვენი საეჭვოდ ჩაბნელებული, ძარცვისა და ტერორის შიშით შეძრწუნებული საბრალო დედაქალაქი. თითქმის დილამდე იყო ღია საკომისიო და კერძო სავაჭროები. მოვაჭრენიც იქ ისხდნენ არხეინად და ტკბილად მასლაათობდნენ.

საყოველთაო მშვიდობა აჭარაში მარტო ამ გარეგნული ნიშნებით არ ხასიათდება. აჭარა ისევეა ომში ჩაბმული, როგორც საქართველოს სხვა ნებისმიერი ნაწილი. აქ შექმნილია მოხალისეთა ლეგიონი, რომელიც ომში წასვლის მსურველთ აიარაღებს და საომრად ამზადებს. ისინი აქედანვე მიდიან აფხაზეთის ფრონტზე, სადაც სხვა კუთხეების შვილებთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან. ბევრი აჭარელი დედის ლეჩაქი გაშავდა, ბევრი ქალი დაქვრივდა, ბევრი ობლის ცრემლი დაიღვარა და იღვრება.

მაშველ ძალასთან ერთად აჭარიდან აფხაზეთში მიდის სურსათით, ტანსაცმლით, ტექნიკური საშუალებებით დატვირთული გემები. ბათუმელმა მენავთობეებმა ქვეყნის თავდაცვის საჭიროებებისათვის უსასყიდლოდ გადაამუშავეს და დანიშნულების მიხედვით გაგზავნეს 1 მილიარდი მანეთის ღირებულების ნავთობპროდუქტები. აჭარის კურორტებში თავს აფარებს აფხაზეთიდან ევაკუირებული 16 ათასი ლტოლვილი, რომელთა შენახვის ყველა ხარჯი ავტონომიური რესპუბლიკის კისერზეა.

მიუხედავად თითქმის გადაულახავი სიძნელეებისა, აჭარის მკვიდრთ საქართველოს საერთო მდგომარეობამ რომ შეუქმნა, აქ ერთი წუთითაც არ შეჩერებულა მშვიდობიანი აღმშენებლობა. ახლახან დამთავრდა საქართველოს ყველაზე უფრო გრძელი ხიდის აგება. იგი იმიერ საქართველოდან მომავალ წყალუხვ ჭოროხზე აშენდა და სიგრძით 476 მეტრია. გარდა ჭოროხის ხიდისა, ამას წინათ მომხდარი სტიქიური უბედურების აღმოსაფხვრელად აჭარის დიდსა და მცირე მდინარეებზე 105 სხვა ხიდიც გაიდო. სხვაგან ხიდებს მხოლოდ ანგრევენ, აქ მხოლოდ აშენებენ! ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გაიმართა და მოეწყო ახალი საბაჟო სოფელ სარფის მახლობლად, რამაც ერთიორად და მეტად გააიოლა საავტომობილო მიმოსვლა მეზობელ თურქეთთან.

წელს აჭარაში მწყობრში ჩადგა 4 ახალი სასკოლო შენობა. ეს იმ დროს, როდესაც დანარჩენ საქართველოში არც ერთი არ აშენებულა. დღესდღეობით მშენებარეა და ამა წლის 1 სექტემბერს, ახალ სასწავლო წელს, განათლების ქსელს გადაეცემა კიდევ 8 სასკოლო შენობა.

ბათუმში, საქართველოში პირველად, საეპისკოპოსო ტაძართან გაიხსნა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია, რომელშიაც სწავლა ფასიანია და სადაც სწავლა უაღრესად პრესტიჟულად ითვლება.

შარშან აჭარაში 35 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი გაიყვანეს. ბათუმი მთლიანად მარაგდება სასმელი და ტექნიკური წყლით. ხულოში თეატრის ახალი შენობა ააშენეს, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ბათუმში დაფუძნდა ოპერის თეატრი. წელს აქ პირველად აჟღერდება ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი“.

ბათუმის ერთადერთ ჯამესთან აღიმართა მინარეთი. მოქმედი კონსტიტუცია და ელემენტარული ჰუმანიზმი, ისიც სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით განთქმულ საქართველოში, ვისიმე სინდისის თავისუფლების შეზღუდვის უფლებას არ იძლევა და არც არის ამის რაიმე საჭიროება.

ყოველივე ეს საქმეს ოდნავადაც არ შველის. გააფთრებული იერიშები, ზეპირად თუ ბეჭდვითი სიტყვის მოშველიებით, ამ ბოლო დროს საქართველოს პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდანაც, რომლის პირადი მიზნებისათვის გამოყენება უმძიმეს ცოდვადაა მიჩნეული, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის წინააღმდეგ მაინც გრძელდება. გრძელდება ჭორები, მითქმა-მოთქმა, რას არ გაიგონებ! ბევრი, ვისაც ამ საქმისა არაფერი გაეგება, ფიქრობს: რასაც ლაპარაკობენ, ამის ნახევარი თუ მაინც მართალია...

ბათუმში გამოდის ალტერნატიული გაზეთი, სადაც ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის პორტრეტი თავდაყირა იბეჭდება. ეს, ეტყობა, კრიტიკის ახალი ფორმაა. იბეჭდება წერილები მისი ანტიქართული საქმიანობის შესახებ, ბრალდება იმის გაკეთება, რასაც მთელი სიცოცხლე ებრძვის, დღისით-მზისით კეთდება ყველაფერი კაცის მოთმინებიდან გამოსაყვანად, რათა, როგორც ხელმძღვანელს, ხელისუფალს, რაიმე ანტიდემოკრატიული საქციელი ჩაადენინონ, ხელში საბუთი ჩაიგდონ და მიზანში ამოღებული პიროვნება, რომელიც წარბშეუხრელად დგას თავის პოზიციაზე და მოწინააღმდეგეს გასაქანს არ აძლევს, გზიდან ჩამოიცილონ. ამ უკანასკნელთ ავიწყდებათ, რომ ასლან აბაშიძეც პიროვნებაა, მოქალაქეა, ერთი ჩვენთაგანია. მისი სურათის უკუღმა ბეჭდვა და მის წინააღმდეგ ურცხვი ცილისწამების გაჩაღება უკადრისი საქციელია, პიროვნების ღირსების ხელყოფაა და ყველა არსებული კანონმდებლობის ძალით სასამართლო პასუხისგებას ექვემდებარება. მაგრამ ისინი აქაც მოგებული გამოდიან. თუ სასამართლო დამნაშავეთა გამამტყუნებელ ვერდიქტს გამოიტანს, მსჯავრდებულნი თავს პოლიტიკურ პატიმრებად გამოაცხადებენ, განგაშს ასტეხენ და შავ დღეში მყოფ ხელისუფლებას, ჩვენს ძნელ დროში ისედაც რომ უჭირს ქვეყნის პატრონობა, ახალ საფიქრალს გაუჩენენ!..

მაგრამ ეს ქვეყანა არც ისე ყრუ და ბრუტიანია, როგორც ზოგიერთს ჰგონებია. ხალხი ხედავს, რა როგორაა და წყლის ამმღვრევთ თუ მადლობას არ ეუბნება, პირიქით, მუშტსაც უჩვენებს, ვითომ ეს ვინმეს დიდად უნდა გაუკვირდეს?

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის მკვახე ტრანსპარანტი, საქართველოს პარლამენტის წევრებს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა აჭარის უზენაესი საბჭოს შენობის წინ რომ შეაგებეს, მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო, საქართველოს პარლამენტარებო, ამისა და ამის გამოკლებითო.

მართალი გითხრათ, შემზარა ამ წარწერამ. იმ ჩემი კოლეგების ადგილზე საკუთარი თავი წარმოვიდგინე. შენს მშობელ კუთხეს, შენს ხალხს, ვის შორისაც გაიზარდე, შენი დანახვაც არ უნდა, მშობლიურ ქალაქიდან შენს გასახლებას მოითხოვს, ანგრევს და ანადგურებს ყველაფერს, რაც კი შენი ხელმონაკიდია. თუ ახლომახლო თვალი სადმე დაგლანდეს, ცემით სიკვდილზე მიყენებას გპირდებიან. მე დედ-მამაგანათლებულო, რაღას ეტენები, რაღა გეპარტიება და გერესპუბლიკელება, არ გიჯობს, თავს უშველო და სადმე მიუდგომელ ადგილას გადაიხვეწო?

გასულ თვეში საქართველოს პარლამენტის წევრებს დაურიგეს ახალი მამხილებელი დოკუმენტი: ინფორმაციის ამონაბეჭდი გაზეთ „აჭარიდან“. დოკუმენტის შინაარსი ანუ ოფიციალური ცნობა საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ მეორე დღეს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამაც“ გამოაქვეყნა. ეს გახლდათ საპროტესტო დეპეშა პარლამენტის თავმჯდომარე ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელსაც ხელს აწერდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ალექსანდრე გობრონიძე და აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი გურამ ვარშალომიძე.

სიტყვა შეეხებოდა ინციდენტს ბათუმის აეროპორტში, სადაც უცნობმა პირებმა საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი თამაზ დიასამიძე მოიტაცეს, მაგრამ სწრაფი რეაგირების სახელმწიფო რაზმის თაოსნობით გატაცებიდან 10-15 წუთის შემდეგ იგი უკანვე დააბრუნეს და თბილისში მიმავალ თვითმფრინავში ჩასვეს.

„გაცნობებთ, რომ, — ვკითხულობთ საპროტესტო დეპეშაში.— მიმდინარე წლის 7 აპრილს ბათუმში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები... მიუხედავად მათი მტკიცებისა, რომ ვიზიტი ატარებდა ვიწრო პარტიულ ხასიათს და დაკავშირებული იყო პარტიის ბათუმის რეგიონის ორგანიზაციაში კრების ჩატარებასთან, თავიდანვე გამოიკვეთა, რომ ეს განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ფაქტობრივად, მათი ვოიაჟი ატარებდა მიზანმიმართულ პროვოკაციულ ხასიათს, რაც აშკარად ჩანს მათ მიერ უკანასკნელ ხანს გაკეთებული განცხადებიდან — თითქოს აჭარაში შექმნილი იყოს მძიმე, არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება და ამჟამად იქ არსებული სიტუაცია ისეთი იყოს, როგორიც იყო აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების წინა პერიოდში. აგრეთვე მათი მიმართვიდან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი, სადაც ისინი მოითხოვენ გაემიჯნოს ბატონ ასლან აბაშიძეს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე პარლამენტის წევრის დ. ბერძენიშვილის არაობიექტური და ტენდენციური განცხადებები რესპუბლიკის პარლამენტსა და რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რაც მოსახლეობის მიერ აღიქმება როგორც აშკარა შეურაცხყოფა აჭარისა და მისი ხელმძღვანელებისა... აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით თავს ვალდებულად ვთვლით, მოგმართოთ პირადად თქვენ, ბატონო ედუარდ, და საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს, ვისაც გული შესტკივა საქართველოს ერთიანობაზე და გაგებით ეკიდება აჭარაში არსებულ ვითარებას, ჯეროვანი შეფასება მისცეთ... პარლამენტის ზოგიერთი წევრის მოქმედებას... აქედან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შემდგომი გამწვავებისა და მისგან გამომდინარე უმართავი შესაძლო შედეგებისათვის თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას და აკისრებს მას რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელებს“.

აი, რა სუნი უდის თურმე მშვიდობის ერთადერთი ოაზისის — აჭარის საქმეებში უპასუხისმგებლო ხელის ფათურს, რა შეიძლება მოჰყვეს ცალკეულ ამბიციურ პირთა ბატონკაცურ ჯგიმვას და პარლამენტის მიკროფონის ბოროტად გამოყენებას.

აჭარის ხელმძღვანელთა მიერ გამოგზავნილი საპროტესტო დეპეშა და მთელი ეს უსიამოვნო ინციდენტი, რომელიც ჯობდა არ მომხდარიყო, მრავალ ფიქრსა და ვარაუდს აღძრავს.

ვინ იყვნენ ის უცნობი პირები, პარლამენტის დეპუტატი აეროპორტიდან რომ გაიტაცეს და 10-15 წუთის შემდეგ ასე უმტკივნეულოდ და უდავიდარაბოდ დაუთმეს სწრაფი რეაგირების სახელმწიფო რაზმის წევრებს? თვით დეპუტატი, 10-15-წუთიანი განსაცდელი უვნებლად რომ გადაიტანა და მის გამო ქვეყანა შესძრა, იქნებ ღმერთი მომეხმაროს, მიზანში ამოღებულ ასლან აბაშიძეს რაიმე ვავნოთო, აჭარის ალტერნატიული გაზეთის ფურცლებზე ფერებს არ იშურებს და შავით თეთრზე წერს: „გამტაცებლები გამოირჩეოდნენ ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიური სიძულვილით“.

კაცმა,თუ ენა წინ მიგირბის და საკუთარ ემოციებს ვერა ფლობ, შეიძლება ის წამოისროლო, რაც მოგაგონდება, მაგრამ იმას კი რაღა ეკუთვნის, ვინც ამ სიტყვებს ბეჭდური წესით გაავრცელებს? ჩვენი იმუნიტეტშელახული დეპუტატი სულ 10-15 წუთს იყო პირსისხლიან გამტაცებელთა ხელთ და ამ გაჭირვებულებმა უზომოდ მცირე დროში როგორ მოასწრეს „ყოველივე ქართულისადმი“ თავისი „ფიზიოლოგიური სიძულვილი“ გამოემჟღავნებინათ? ვინ იყვნენ, რა ენაზე მეტყველებდნენ, ციდან ხომ არ ჩამოცვივდნენ? სად შეიძლება იპოვნო აჭარაში თუნდ ერთი, თუნდაც ნახევარი კაცი, ყოველივე ქართულისადმი პათოლოგიურ სიძულვილს რომ ამჟღავნებდეს? იქნებ პატივცემული დეპუტატი თავის პერსონას სრულიად საქართველოსთან, უფრო ზუსტად, „ყოველივე ქართულთან“ აიგივებს და გადაწყვეტილი აქვს, 8 მილიონი ქართველი, სახელმწიფო საზღვარს აქეთ და იქით, თავისი პირადი არაკეთილმოსურნეების წინააღმდეგ აამხედროს? იქნებ კიდევაც ავმხედრებულიყავით, მაგრამ სანამ ამას ვიზამდეთ, ისიც ხომ უნდა გავარჩიოთ, ვინ არის ეს არაკეთილმოსურნე და ვის წინააღმდეგაა მიმართული მისი ქმედება.

გასულ კვირაში, როგორც პრესიდან და რადიო-ტელევიზიიდან უკვე ცნობილია, საქართველოს პარლამენტის წევრთა დიდმა ჯგუფმა აჭარაში იმოგზაურა და თავისი თვალით ნახა ყოველივე ის, რაც მკითხველს ზემოთ ასე მოკლედ და კუდმოკვეცილად მოვუთხრე, დიახ, სწორედ მოკლედ და კუდმოკვეცილად, ვინაიდან საგაზეთო წერილი, თუნდაც ისე ვრცელი, როგორიც ეს წერილია, ყველაფერს ვერ დაიტევს.

დამშვიდობებისას ბატონმა ასლან აბაშიძემ შემოგვჩივლა: მთავრობაში რამდენიმე მინისტრის ვაკანტური ადგილი გვაქვს, კარგა ხანია ვეძებთ შესაფერ კანდიდატურებს, მაგრამ ჯერჯერობით არჩევანი ვერავიზე შეგვიჩერებიაო. მაშინვე ჩემი კოლეგა-პარლამენტარები გამახსენდა, აი, ისინი, რადაც უნდა დაუჯდეთ, თუნდაც ამ საქმეს მთელი აჭარა და ნახევარი საქართველოც შეეწიროს, ასლან აბაშიძის „დიქტატურის“ დამხობას რომ აპირებენ. ეტყობა, მათ არ შესთავაზეს ეს უაღრესად საპატიო თანამდებობები, ან შესთავაზეს და მათ თავი შორს დაიჭირეს? ვინ იცის. იქნებ განხეთქილების ვაშლიც სწორედ ესაა და ჩვენ, გულუბრყვილონი, სულ სხვაგან, მაღალ მატერიებში ვეძებთ?

9-12 მაისი,
1993 წ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვლადიმერ შუმეიკოს გამოსვლა

იღვწიან რა რუსეთის ფედერაციის ახალი კონსტიტუციის მიღებისათვის, პრეზიდენტი ბ. ელცინი და მისი „გუნდის“ წევრები აპირებენ გამოიყენონ მხოლოდ სამართლებრივი მეთოდები. ეს განაცხადა ორშაბათს პრესის ეროვნულ კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. შუმეიკომ. უპასუხა რა კითხვაზე იაპონიაში ელცინის ვიზიტის პერსპექტივების შესახებ, შუმეიკომ თქვა, რომ ახლა საქმე იმას ეხება, რომ რუსეთის პრეზიდენტი ტოკიოს ეწვიოს „შვიდეულის“ წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრის დროს. რაც შეეხება რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტს იაპონიაში, იგეგმება იგი მოეწყოს სექტემბერში.

მოგზაურობა კონსულტაციებისათვის

იუგოსლავიური დრამის მოწესრიგების ახლანდელ ეტაპზე ვენს-ოუენის გეგმა „უპრეცედენტო მხარდაჭერითა და მოწონებით სარგებლობს მსოფლიოში“ და ეს კარგ საფუძველს ქმნის, რათა შემუშავდეს კონკრეტული მოქმედება მისი თანამიმდევრული განხორციელებისათვის. ეს განუცხადა ჟურნალისტებს ორშაბათს საღამოს ბერლინში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კოზირევმა. იგი გერმანიის დედაქალაქში ჩავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან კ. კინკელთან კონსულტაციებისათვის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ყოფილ იუგოსლავიაში კრიზისის მოწესრიგებასთან და ვენს-ოუენის გეგმის შესრულებასთან.

სომხეთის პოზიცია

„მოსკოვში ხელმოწერილი ეკონომიკური დოკუმენტი საპროგრამო ნაბიჯია, რომელიც მოწმობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ხელმძღვანელების რაციონალურ პრაგმატულ აზროვნებას; ემოციურმა და იდეოლოგიზირებულმა მიდგომებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა“. ასეთი კომენტარი გაუკეთა სომხეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა მოსკოვის თათბირს. დღეს ერევანში ბრიფინგზე გამოსვლისას სომეხი ხელმძღვანელის პრესმდივანმა არამ აბრაამიანმა ახლანდელ ვითარებაში ეფექტიანი უწოდა პრინციპს, როცა თანამეგობრობის ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს არ მიიღოს ესა თუ ის დოკუმენტი ან მისი ცალკეული ნაწილი და, მიუხედავად იმისა, რომ არ უერთდება ამ დოკუმენტს, ხელს არ უშლის მის რეალიზაციას.

სომხეთმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მზად არის აქტიურად მონაწილეობდეს „თანამეგობრობის ყველა სფეროში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციულ პროცესებში“, თქვა პრეზიდენტის წარმომადგენელმა. მან გამოთქვა აზრი, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ უნდა გაიაროს ძიების გზა, რომლის დროს საჭიროა გამოიძებნოს ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანი მექანიზმები. „ნელი ტემპით, მაგრამ აუცილებლად მივალთ ევროპულის მსგავს გაერთიანებამდე, რომელიც ამასთანავე გაითვალისწინებს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების თავისებურებებს“, — ხაზგასმით აღნიშნა ლევონ ტერ-პეტროსიანის წარმომადგენელმა. მან დაუშვა ის აზრი, რომ ეკონომიკურს შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური ინტეგრაცია, მაგრამ ამან საფრთხე არ უნდა შეუქმნას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რომელიმე ქვეყნის, მათ შორის სომხეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. პრესმდივანმა „დღეს ნაკლებად სარწმუნო“ უწოდა იმას, რომ შესაძლებელი იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რომელიმე ქვეყანა, მათ შორის რუსეთიც, დათანხმდეს კონფედერაციის შექმნას.

ფირმა «დათო» გთავაზობთ

ფანტასტიკურ 200-პროცენტიან სარგებელს.

ანაბრების ასეთ პირობებში ვერავითარი ინფლაცია ვერ გააუფასურებს თქვენს დანაზოგებს.

ფირმა „დათო“ თქვენგან მიიღებს ნაღდი ფულის ანაბრებს მხოლოდ 1 ივლისამდე. მინიმალური თანხა – 100 000 მანეთი.

ექვსთვიანი ანაბრის სარგებელია – 100 პროცენტი.

ერთწლიანი ანაბრისა – 200 პროცენტი.

მეანაბრეს ფულის შეტანისთანავე გადაეცემა შემნახველი სალაროს წიგნაკი ანაბრის გაორმაგებული თანხით.

ანაბარი გაიხსნება ყველაზე პრესტიჟულ და თანამედროვე ბანკში „კაპიტალბანკში“.

თუ გსურთ თქვენი 100000 მანეთი ექვს თვეში 200000 მანეთად, ხოლო ერთ წელიწადში 300000 მანეთად გადაიქცეს, მიაკითხეთ ფირმა «დათოს» წარმომადგენელს.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 62,
ტელეფონები: 22-22-27, 29-47-59.

კომერციული ბანკი «კაპიტალბანკი»

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი“ გაძლევთ უნიკალურ შანსს — გახდეთ კაპიტალისტი!

«კაპიტალბანკში» ანგარიშსწორების გახსნა ნიშნავს პარალელურად სუბანგარიშებს საქართველოს, სნგ-ს, სომხეთის და აზერბაიჯანის ქალაქების, მოსკოვის, სტამბულის, ანტვერპენის, ნიუიორკის ბანკის წარმომადგენლობებში ანგარიშის გახსნას. თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა ამ ცალკეული ანგარიშებიდან აწარმოოთ ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებები 12 სახის ვალუტაში მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

მხოლოდ „კაპიტალბანკი“

- — უვასოდ უხსნის ანგარიშს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს,
- — იღებს რესპუბლიკაში საბანკო მომსახურების ყველაზე დაბალ პროცენტს,
- — შეუფერხებლივ უზრუნველყოფს ორგანიზაციებს სესხებითა და ნაღდი კუპონებით,
- — იღებს კომუნალურ გადასახადებს.

ბანკის სეიფებში შესანახად მიიღება ფასიანი ქაღალდები და ძვირფასეულობა.

«კაპიტალბანკი» ყოველ სამშაბათს, 13. 00 საათზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებებით აწყობს «კაპიტალბანკის» სავალუტო სერთიფიკატების სააუქციონო გაყიდვას და დაუყოვნებლივ ასორციელებს თავის წარმომადგენლობებში სერთიფიკატის განაღდებას წარმომადგენელზე სრული ღირებულებით ამერიკულ დოლარებში, კლიენტის მოთხოვნით ანგარიშსწორება შესაძლებელია მანეთებით, კუპონებით და სხვა ვალუტით.

„კაპიტალბანკი“ — ესაა საიმედოობა, კონფიდენციალობა და თქვენი კეთილდღეობის გარანტია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 62
ტელეფონები: 22-22-27, 29-47-59 თბილისში.
მოსკოვი 924-942-82, 200-14-13.

DS ENTERPRISE

თქვენ გელით იტალია!

ფირმა „დიოსკურია“ გიწვევთ პრესტიჟულ მოგზაურობაში იტალიაში, ქ. ვენეცია 7 დღით, დასვენებით ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. თქვენ იცხოვრებთ კომფორტაბელურ სასტუმროში ზღვის ნაპირას. ეწვევით ვენეციას, დაათვალიერებთ მის ღირსშესანიშნაობებს, გაისეირნებთ გონდოლით ე. წ. „გრანდ-კანალზე“.

7 შესანიშნავი დღე და ვენეცია დაუვიწყარ მოგონებად დარჩება თქვენს მეხსიერებაში. საგზურის ღირებულებაა 450 ამერიკული დოლარი და 20000 მანეთი. მგზავრობა თვითმფრინავით. თბილისი-მოსკოვი-ვენეცია.

გთხოვთ, მობრძანდით:

ქ. თბილისი, დოლიძის ქ. კორპუსი 7. ფირმა „დიოსკურია“.
ან დარეკეთ: 36-00-14, 36-75-10, 11 საათიდან 17 საათამდე.
74-12-56 18-დან 22 საათამდე.

ყოჩაღ, ძმებო!

მოსკოვში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა, ძმებმა თენგიზ, თემურ და არჩილ ქორიძეებმა საქართველოს თავდაცვის ფონდში პირადი დანაზოგიდან ჩარიცხეს მილიონ ორასი ათასი მანეთი.

Продаются в собственность 2-х и 3-х комнатные квартиры в ближнем Подмосковье (9 км от г. Москвы) в новом доме.
(095) 4410537, 3746503, 2089347, 3373031.

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“

ჭიათურის განათლების განყოფილება დღეისათვის აფხაზეთიდან ლტოლვილ 87 მოსწავლესა და ხუთ პედაგოგს მასპინძლობს. მათდამი თანადგომა აქ ყოველდღიურ საზრუნავად იქცა. მოსწავლეებმა სწავლა განაგრძეს, მასწავლებლებმა, — სპეციალობით მუშაობა. უკვე რამდენიმე ერთობლივი შეხვედრაც მოეწყო. ლტოლვილ მოსწავლეებსა და პედაგოგებს მასპინძლებმა 22 ათასი მანეთი ფულადი დახმარება, სურსათი და თბილი ტანსაცმელი გადასცეს.

— ლტოლვილებთან ერთად, ჩვენი სადღეისო საზრუნავი სამამულო ომია, აფხაზეთში განათლების სისტემის მრავალი მუშაკი იბრძვის, — ამბობს განათლების განყოფილების გამგე, ქალბატონი ნანული წერეთელი, — რა სათქმელია, მაგრამ მინდა იცოდნენ მებრძოლმა ვაჟკაცებმა, რომ ჩვენგან გაგზავნილ საჩუქრებთან ერთად გულის სითბო და სიყვარულიც გაუწილადეთ მათ.

— ჭიათურელმა პედაგოგებმა, თავიანთი დანაზოგებით ეროვნული თავდაცვის ფონდს ჯერჯერობით 140 ათასი მანეთი შემატეს, — თქვა განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ზანი ღვალაძემ, — ამჟამად მიმდინარეობს „ოქროს ფონდში“ პედაგოგებისგან ძვირფასი ლითონების ჩაბარება და აფხაზეთში მებრძოლებისათვის უსასყიდლოდ სისხლის გაღება.

უფროსების კვალდაკვალ მიაბიჯებენ პატარებიც, № 7 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა ამ დღეებში საქველმოქმედო კონცერტი გამართეს და მთლიანი შემოსავალი — 5 ათასი მანეთი ეროვნული თავდაცვის ფონდში ჩარიცხეს.

საქველმოქმედო ღონისძიებები გრძელდება.

სოზარ კუპატაძე.

სამაჩაბლო: სკოლები გამოცდების წინ

ცოტაც, და, სამაჩაბლოში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოცდები დაიწყება.

შარშან, გაზაფხულზე, ბევრ, მეტადრე ცხინვალის მიმდებარე სოფლების სკოლებში გამოცდები ისე ექსტრემისტების ნაღმსატყორცნების „აკომპანემენტით“ მიმდინარეობდა. ერთი ნაღმი, ღამით, ხეითის საშუალო სკოლის იმ კლასს მოხვდა, სადაც მეორე დილით მათემატიკაში მეთერთმეტე კლასის წერითი გამოცდა უნდა ჩატარებულიყო.

ახლა ცხინვალის ზონაში სიმშვიდეა. წესრიგს აქ ქართულ-რუსულ-ოსური სამშვიდობო ჯარები იცავენ.

— ვიმედოვნებთ, რომ წლეულს ამ მხარის სკოლებში გამოცდები მშვიდობიანად ჩაივლის, — ამბობს გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ლერი პაპუაშვილი.

სამაჩაბლოში 154 მოსწავლე მეცხრე კლასს ამთავრებს, 127— მეთერთმეტეს. გამოცდებისათვის მზადება უკვე დაიწყო. ამ დღეებში გორის განათლების განყოფილების მუშაკები სამაჩაბლოს სკოლებს ეწვივნენ. თამარაშენის, აჩაბეთის, ქეხვის, ქურთის, ძარწემის სკოლებში ისინი გაეცნენ სწავლების, გამოცდებისათვის მზადების საკითხებს, შეხვდნენ პედაგოგიურ კოლექტივებს, სოფლის მოსახლეობას.

გურამ ვაშაკიძე,
ცხინვალის სამშვიდობო ჯარების პრესცენტრი.

დივერსია

აფეთქება, უკვე მერამდენედ?

მარნეულის რაიონი ამ ბოლო ხანს დივერსანტების ხუდედ და აფეთქებათა პოლიგონად იქცა. განუწყვეტლივ ფეთქდება სომხეთისაკენ გამავალი რკინიგზის მაგისტრალი, ხიდები და გვირაბები, გაზსადენი. უბედურება ის არის, რომ დივერსიის არც ერთი შემთხვევა არაა გახსნილი. სამართალდამცავი ორგანოებისა და რაიონის ხელმძღვანელთა ამგვარი უსუსურობა დივერსანტებს ძალებს მატებთ, რომ ჩაიდინონ ახალი ძირგამომთხრელი ქმედობა.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ეროვნულ უშიშროებაში კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ზურაბ ყურაშვილმა გვაცნობა:

— 16 მაისს ღამის პირველ საათზე კვლავ მოხდა რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება სამება-სადახლოს გადასარბენის 2566-ე კილომეტრის პირველ პიკეტზე. ლიანდაგი ააფეთქეს ორ ადგილას. რამდენიმე საათით შეწყდა მატარებლების მოძრაობა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

ზურაბ ყურაშვილმა ჩვენი თხოვნით განმარტა აგრეთვე, რომ რკინიგზის სატრანსპორტო პოლიციას უშუალოდ ევალება სტრატეგიული ობიექტების, ხიდების, გვირაბებისა და დივერსიების დროს საგამოძიებო ჯგუფის მისვლამდე შემთხვევის ადგილების დაცვა და ა. შ. სამწუხაროდ, იგი ხშირად არ ასრულებს ამ მოთხოვნებს. ასე მოხდა ამჯერადაც. ლიანდაგი ააფეთქეს მისი საგუშაგოდან 300 მეტრის დაშორებით, მაგრამ ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის მისვლისას პოლიციელები ადგილზე არ აღმოჩნდნენ და შემთხვევის ადგილსაც არავინ იცავდა. ხშირია შემთხვევა, როცა რკინიგზის მაგისტრალი დიდი მანძილით არ არის დაშორებული საავტომობილო გზასთან ტრანსპორტის პოლიციის მუშაკები ტოვებენ საგუშაგოებს, გადადიან ავტოტრასაზე, ანგარების მიზნით აჩერებენ და ამოწმებენ ავტომანქანებს, რაც მათ, ცხადია, არ ევალებათ, სტრატეგიული ობიექტები კი დაუცველი რჩება. ხოლო შემთხვევის ადგილის დაუცველობა არსებითად ართულებს ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებს.

არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ რკინიგზის სამსახურის მუშაკები. მათ მთელი ძალისხმევით იშრომეს და რამდენიმე საათში შეძლეს დაზიანებული ლიანდაგების აღდგენა. მატარებლები ახლა შეუფერხებლივ მოძრაობენ.

დავით ბიწაძე.

ქართული სპორტის ჰორიზონტები

კრივი

სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში ჩვენი ქვეყნის მოკრივეებმა.

ფინეთის ქალაქ ტამპერეში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატიდან „ვერცხლით“ გვიბრუნდება 19 წლის გორელი სპორტსმენი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი (91 კგ), რომელმაც ნახევარფინალში მიღებული ტრავმის გამო, ექიმებისა და მწვრთნელების „განაჩენით“, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ვერ შეძლო რინგზე გამოსვლა კუბელი ოლიმპიური ჩემპიონის ფელიქს სავონის წინააღმდეგ.

ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, მესტიელი რამაზ ფალიანი (57 კგ) ნახევარფინალში დამარცხდა და ამჯერადაც მესამე ადგილზე გავიდა.

კვლავ დაამტკიცეს უმაღლესი კლასი კუბელებმა, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატზე 8 ოქროს მედალი მოიპოვეს.

თავისუფალი ჭიდაობა

1 „ოქრო“ და 1 „ვერცხლი“— ასეთია საქართველოს ნაკრების თურქული „ნადავლი“.

სტამბოლში დამთავრებულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის ჰიმნი „დიდება“ აჟღერდა 68 კგ წონით კატეგორიაში კონტინენტის ახალი ფალავნის, გორელი ზაზა ზოზიროვის პატივსაცემად. ვულოცავთ ახალგაზრდა სპორტსმენს ამ დიდ გამარჯვებას.

მიზანთან ახლოს იყო სოხუმელი ელდარ კურტანიძე(90 კგ), მაგრამ იგი ფინალში დამარცხდა უკრაინელ მეტოქესთან და საბოლოოდ კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა.

საუცხოოდ იასპარეზეს ხალიჩის მასპინძლებმა — თურქმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით 76 ქულა მოაგროვეს და პირველად უკანასკნელი 26 წლის მანძილზე გუნდური პირველობა მოიგეს.

კალათბურთი

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდი წარმატებით გამოვიდა ბულგარეთის ქალაქ პაზარჯიკში, სადაც მოეწყო ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი. სტარტზე სლოვენიელებთან 2 ქულით დამარცხების შემდეგ ჩვენმა კალათბურთელებმა ზედიზედ 3 მატჩი მოიგეს — კვიპროსელებთან, რუმინელებთან და მასპინძლებთან. აგვისტოში ქართველი ჭაბუკები ითამაშებენ ექვსთა დასკვნით საკვალიფიკაციო ტურნირში, საიდანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში მხოლოდ გამარჯვებული გაემგზავრება.

შალვა კაჭარავა:

კაცობრიობას მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს



რედაქციაში ახალგაზრდების დიდი ჯგუფი გვესტუმრა. მათ თავი გაგვაცნეს, როგორც საქართველოს გორიშვილთა საძმო „მარადისობის“ წევრებმა და გვთხოვეს, გაზეთში გამოგვექვეყნებინა მილოცვა ბატონ შალვა კაჭარავას ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

შალვა კაჭარავას ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც უაღრესად საინტერესო იდეის ავტორს, იდეა-პროექტისა, ჩვენში „წრიული უბნის“ სახელით რომ არის ცნობილი, რომელიც თავისი პრინციპით ჩვენი დედამიწის მიკრომოდელია და ისეთივე სრულყოფილი, როგორც თავად სამყარო.

...ნუთუ მართლა შესაძლებელია, რეალობად იქცეს ყოველივე, არადა, ისეთს რას ითხოულობს შეუძლებელს, არარსებულს რას გვიქადაგებს. ალბათ, ისევ და ისევ ჩვენი ქართული გულარხეინობითა და წაყრუებით უნდა აიხსნას, რომ დღემდე ამ შესანიშნავ იდეას გასაქანი არ მიეცა.

...მთაწმინდის კალთაზე შეფენილ ერთ ძველ უბანში, ხაჯნელის ქ.№ 8 სახლში ცხოვრობს შალვა კაჭარავა. მისი იდეის გულშემატკივრებთან ერთად ვსაუბრობთ მეტად ხალვად მოწყობილ მისაღებ ოთახში, რომლის კედლებზეც ჩვენი მასპინძლის პროექტის — „წრიული უბნის“ ნახაზებია გამოფენილი.

სანამ ამ პროექტს გავეცნობოდით, ბატონი შალვა გვესაუბრება ჩვენს საზოგადოებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხზე, მიწის პრივატიზაცია რომ ჰქვია. მისი თქმით, თითოეულ ოჯახზე, ოჯახის ფუძის გამგრძელებელ უმცროსს და გვარის მამრავლებელ უფროსთ, (სამომავლოდ ცალკე ოჯახის შემქმნელთ), ძედ შობილთა სამუდამო მფლობელობაში, უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ თითო ჰექტარი მიწის ფართობი საძოვრითურთ.

ეს იქნება საკარმიდამო ფართობი, აუცილებელი საძირკველი ყველა ოჯახისა, სადაც ცალკე ულამაზეს პარკად საზღვრული კერძო საოჯახო სასაფლაო (სულ რაღაც 20-30 მ სიგრძე-სიგანის) დამცველ დარაჯად დაუდგება სამოთხის ბაღად წყობილ კარმიდამოს, რომელშიც დედაბოძად აღიმართება ამ ოჯახში შობილ გვარიშვილთა იერისა და „ერის ქვაკუთხედი“, რომლის განკარგვასაც ოდითგან მოსტირის საქართველო, და რომელზეც სამუდამოდ დაივანებს ქვეყნის ოთხივ კუთხიდან ამ ოჯახში მშობელ-დედებად ვლენილ ქართველთ დედათა მარადიული ხსოვნა;

მკითხველი ალბათ ადვილად მიგვიხვდება უმთავრესს, რომ „ერის ქვაკუთხედით“ გამაგრებული კერძო საოჯახო სასაფლაო სრული გარანტიაა იმისა, რომ ქართული მიწა სამომავლოდ არასოდეს გაიყიდება.

კითხვაზე: ბატონო შალვა, თქვენი აზრით საქართველოს ყოველგვარი კრიზისიდან მხოლოდ წრიული უბნების განაშენიანება გამოიყვანს? — აი როგორი პასუხი მივიღე:

— „ჩვენ კაცთა“ როგორც „მოგვცა ქვეყანა“, რათა „უთვალავის ფერითა“ გვქონოდა, ზესთამწყობრთა წყობის წესისა და რიგის მიხედვით, მიწების სამუდამოდ მფლობელობაში გაცემა რვა წლის წინათ რომ დაგვეწყო, დღეს ყოველი ოჯახის სა-კარ-მიდა-მოსათვის თავისუფლად შეგვეძლო გვეწოდებინა კერძო საოჯახო სა-ხელ-მწიფო, სადაც ყოველი ქართველი სადღეისოდ ხელმწიფედ შვენილი, ხელ-მწიფედ ცხადდებოდა, ეკონომიკურად მეზობლისგანაც დამოუკიდებელი და თავის-უფ(ა)ლ-(ნ)ებით გულანთებულად მოარული ღვთის-მიერთქმულად იცხოვრებდა. და რადგან წელსაც სტიქიურად დარიგდა მიწები, (რამაც ქალაქად თუ სოფლად ბევრ სტიქიურ თუ უკეთურმერთულ ქმედებას გადაჰყარა ხალხი) მომავალ გაზაფხულამდე ზემოთქმული წესისა და რიგის მიხედვით მიწების განაწილება კვლავ შეუძლებელ საქმედ იქცა...

ამ ეტაპზე ქართველის დედათა სახელით, მთელი დედამიწის საგონებლად, საქართველომ მსოფლიოში არსებულ ყველა ქვეყანას სასწრაფოდ უნდა გადასცეს ოდით მათთვის კუთვნილი თითო-თითო ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც ისინი თავიანთ ეროვნულ-ეთნოსური ნიშნით შემკული შენობებით წარმოჩინდებიან, საქართველო კი სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში მის მიწა-წყალზე ღვთიურ ბეჭდად იხილავს **მსოფლიო დედაქალაქის მცირე ხატებას.** ურწმუნო თომობამ თუ რაოდენ უბედურებას გადაგვყარა, ყველას კარგად მოეხსენება, ის კი არა-და, ზემოთქმული მოსაზრებით, მსოფლიოში ძირითად სახელმწიფოებად ცნობილ 150-მდე ქვეყანასთან გნებავთ მარტო ხელშეკრულების დადებასაც რომ მივაღწიოთ, ბევრი, ვისაც გონების თვალი ჯერ კიდევ სრულიად არ დასჩლუნგებია, მიხვდება, თუ რაოდენ მშვიდობისა და სიკეთით აღსავსე ამბის მომტანია იგი საქართველოსთვის. დიახ, **სტუმრად ჩვენ ყველანი გვჭირდება, მასპინძლად კი არავინ!**

ნურც ის იფიქრებს ვინმე, ყოველი ადამიანის **სამუდამო ხსოვნების** მომტან ერს, თავიანთ დედაქალაქებში არვინ დაუთმობს საქართველოსთვის ოდით კუთვნილ თითო ჰექტარ მიწის ფართობს, და რომ იქ არვინ დაეხმარება ქართველს, ქართული გენისა და ზენიის სულ-იერობათა ხატების გან-ფენაში.

სა-უკუნეთო წვა-და-გვით მყოფი საქართველო ფერფლადაც რომ იქცეს, იგი მაინც აღდგება, თუ ოდით ქართველთათვის დედამიწად წოდებულ პლანეტაზე ღვთის-იერებად და ერებად წოდებულ იმ ქალთა გვარების სამუდამო ხსოვნას აღავლენს, რომლებიც ქართველ ქალებთან ერთად ღვთისმიერთქმულად ოდითგან ემსახურებოდნენ, ემსახურებიან ან კვლავაც მსახურად დაუდგებიან ქართული გვარის გენისა და ზენიის წინსვლას. სწორედ ქართველის დედად წოდებულ პატარა თუ დიდ ძალოვებმა ამარძალობით (საიქიო ძალებით) უნდა დაიბრუნონ მათთვის ღმრთით კისრებული უფ(ა)ლ(ნ)ება, რათა საქართველოში არც ერთი დედა აღარ ატირდეს.

...ბევრი იტყვის, ამდენი უბნებისა თუ სოფლების განაშენიანება კი არა, ყოველი ოჯახის იერისა და „ერის ქვაკუთხედის“ აღმართვაც კი დიდად გაჭირდებაო...

ამდა-გვარისად საქართველოში ქართველებად თუ არაქართველებად მცხოვრებ „თომებს“ მე ასე ვეტყოდი: სანამ ზემოხსენებულ პროგრამად წოდებული წესისა და რიგის განხორციელებას შევიძლებდეთ, სოფლად თუ ქალაქად,

იდეა

ყველა ოჯახს გააჩნია ჭიშკარი, რომლის მარჯვენა მხარეს, ვისაც საქართველოს გამარჯვება არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც სურს, ნებისმიერი მასალით, სრულყოფილ მისამართად სრულიადაც არ გაუჭირდება მიაკრას მის ოჯახში მცხოვრებ ღვთისიერთა, ოჯახის მახსოვრობაში დარჩენილი, მშობელ-დედების მამათა გვარების მაუწყებელი სტენდი, რომელზეც ოდით ღვთის კაცად ცნობილი სტუმარი, გნებავთ გამვლელი, ქვეყნის რომელი კუთხის, ერისა თუ ეთნოსის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს იგი, თავის გვარსაც უთუოდ ამოიკითხავს გაიხარებს, სიამაყის გრძნობაც გაუჩნდება, გული გაუთბება და ამდაგვარ ოჯახებად, უბნებად, სოფლებად, რაიონებად და მხარეებად წყობილ ქვეყანას, რომელიც ქართველის დედების მამათა გვარებს არ ივიწყებს და სამუდამო ხსოვნად უნახავს მომავალს, მუდამ გულმხურვალე დღე-გრძელობით მოიხსენიებს.

ერთსაც დავამატებდი, „ერის ქვაკუთხედის“ წინამორბედ მემორიალურ დაფაზე თუ სტენდზე, რომლის ერთ ნიმუშსაც აქვე ვაქვეყნებთ, ქართული გვარის მატარებელმა ყოველმა ოჯახმა თუ მას ქართველის დედად სხვა ეროვნების მეუღლე, დედა, ბებია ან დიდ-დედა აღმოაჩნდა, მის პატივსაცემად, მის მშობლიურ ენაზე ამოტვიფროს ან მიაწეროს მისი სახელი, მამის სახელი, გვარი და ამ გვარის მშობელი-დედის გვარი, როგორც ქვემოთ ნახაზშია ნაჩვენები, ...და თუ რომელიმე ქართველს ერო-ვნული ცუდ-მე-დიდობა მოეძალება (ზომა: 50X80 სმ) სხვათა, არაქართველთა იერისა და „ერის ქვაკუთხედზე“ ქართულ ანბანთქებად წარწერილ ნებისმიერ ქართულ გვარს როდესაც ამოიკითხავს, იქ დაარწყულოს და აღიდგინოს თვისი მეობრივი სიამაყე...

ასე რომ, თუ საქართველომ, მსოფლიო დედაქალაქის მცირე ხატებასთან ერთად, ქართველის დედებად ვლენილი ქალების მამათა გვარების სამუდამო ხსოვნას ბინა დაუდო მის მიწა-წყალზე, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა საკრალურ მიწად ცხადდება იგი მსოფლიოსათვის.

პირადად მე, ქართველის დედის ხმა-ლი, ღვთიური აზრების ჯამად ბოძებულ სა-ერთაშორისო — საყოველ-თაობო სიკეთედ და ბედნიერებად მესახება.

— გმადლობთ, ბატონო შალვა.

— მადლი შემოქმედისაა.

კიდევ მრავალ ისეთ სადღეისოდ მნიშვნელოვან პრობლემაზე გვესაუბრა ბატონი შალვა კაჭარავა, როგორიც არის ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა, მცირე ჰესების მოწყობა და ა. შ. ბევრი რამ მხოლოდ ოცნებაში რომ წარმოუდგენია ადამიანს, მაგრამ მის ავტორს ყოველივე ხორცშესხმულად ესახება, რადგან მისი ცხოვრების კრედო ადამიანთა სიყვარულია, და მისი აზრით კაცობრიობასაც მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს. საუბრის დასასრულს შეგონებასავით გვითხრა: გახსოვდეთ, რომ ამ ქვეყნად ყოველივე წარმავალია, მხოლოდ ხსოვნაა მარადიული და კვალი ნათელი, რომელიც შენ შემდგომ დარჩება დედამიწაზე, გახსოვდეთ, რომ ბურჯად და ხიდად ხართ გადებული წარსულსა და მომავალს შორისო.

ესაუბრა **ლარისა ხუბულური.**

კაჭარავების საოჯახო ნატი

?	— ?	ჯუნა	ჯუდუს	ასული	მამულია	მირუთისგან	გედე	?	— ?
?	— ?	ფუნდე	ჯამას	ასული	გუნია	ლორთქიფანიძისგან	იონა	?	— ?
?	— 1832	ხვართუ	ირონის	ასული	ზვამბაია	ემხვარისგან	ჯუმა	1820	— 1853
1829	— 1890	Katrin	(Vatersname Micheil)		Schulz	von Lautenbach	იონა	1856	— 1898
1861	— 1900	Герда	Владимировна		Нарышкина	от Громовой	მეთო	1878	— 1911
1880	— 1916	სალომე	დიდიკოს	ასული	გეგენავა	უშხვანისგან	კლიმენტი	1899	— 1989
1902	— 1927	მაშიკო	სოლომონის	ასული	კვირკველია	უჩანეიშვილისგან	შიო	1921	
1923	— 1949	მერი	სიმონის	ასული	გოქაძე	ქარუხნიშვილისგან	შალვა	1943	
1940	—	ნანა	ისიდორეს	ასული	კოხრეიძე	ლეჟავასგან	მორისი	1967	

ხსოვნა

გრიგოლ ჩიჯავაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი — გრიგოლ (გიგლა) იასონის ძე ჩიჯავაძე.

დაიბადა 1914 წელს ვანის რაიონის სოფელ ციხესულორში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1941-45 წლებში მუშაობდა სპეციალური დანიშნულების თავდაცვითი ობიექტების მშენებლობაზე. 1946 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში, სადაც განვლო გზა რიგითი მუშაკიდან ტრესტ „წყალსამშენმასალების“ მმართველამდე და გაერთიანების აპარატში სამშენებლო ინდუსტრიის დარგის ხელმძღვანელამდე.

გ. ჩიჯავაძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სამელიორაციო მშენებლობის განვითარებაში.

დარბაისელი, მომხიბლავი პიროვნება, სამშობლოს პატრიოტი, შესანიშნავი მეოჯახე — გრიგოლ ჩიჯავაძე დიდხანს ემახსოვრება მის ახლობლებს და მეგობრებს, წყალთა მეურნეობის სისტემის ყველა მუშაკს.

სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „წყალმშენი“ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქწყალმეურნეობა“, საპროექტო ინსტიტუტი „საქსახწყალპროექტი“, საქართველოს წყალთა მეურნეობის და საინჟინრო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „საქწყალეკოლოგია“.

გიორგი ხოჯავა

გარდაიცვალა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანი **გიორგი ვლადიმერის ძე ხოჯავა.**

გ. ხოჯავა დაიბადა 1926 წელს ქ. ბათუმში.

გ. ხოჯავა მუშაობდა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე — ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილიდან, რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური განყოფილებების და სამმართველოს უფროსად. 1992 წლის დეკემბრიდან მუშაობდა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის სამხედრო კონსულტანტად — სამხედრო მრჩევლად.

გ. ხოჯავა დაჯილდოებულია მთავრობის ერთი ორდენით და მრავალი მედლით.

1958 წელს სამსახურიდან მოუწყვეტლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, გ. ხოჯავას თავისი შესანიშნავი ადამიანური და საქმიანი თვისებების გამო მოხვეჭილი ჰქონდა დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა.

იგი გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარეობით, საქმის ერთგულებით, დაკისრებული მოვალეობისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით.

უხმაუროდ, ჩუმად, მაგრამ დიდი მონდომებით შრომობდა იგი ახალ კოლექტივში. ასევე ჩუმად და მოულოდნელად წავიდა იგი ჩვენგან.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის სამეთაურო კადრების მომზადების მიზნით ქალაქ თბილისში გაიხსნა გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელიც 1993 წელს აცხადებს 17-დან 21 წლამდე ასაკის სამოქალაქო ახალგაზრდობისა და 23 წლამდე ასაკის სამხედრო მოსამსახურეთა მიღებას.

აკადემია ამზადებს საერთო-საჯარისო, სატანკო, საარტილერიო, სადაზვერვო ქვედანაყოფთა ოფიცრებს, აგრეთვე სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ოფიცრებს.

აკადემიაში სწავლების ვადა 4 წელია.

აკადემიის კურსდამთავრებულნი მიიღებენ დიპლომს უმაღლესი განათლების შესახებ, შესაბამის სამხედრო სპეციალობას და სამხედრო წოდებას „ლეიტენანტი“.

აკადემიაში ღებულობენ ფიზიკურად მომზადებულ ჭაბუკებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამის სამხედრო კომისარიატებში სამედიცინო კომისია, და რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით:

1. საქართველოს ისტორიაში (ზეპირი),
2. მათემატიკაში (წერა),
3. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა),
4. უცხო ენაში (გასაუბრება).

ამის გარდა მოწმდება ყველა კანდიდატის ფიზიკური მომზადება და ხდება მათი პროფესიული — ფსიქოლოგიური შერჩევა.

გამოცდები ბარდება ქართულ ენაზე. აკადემიაში სწავლება მიმდინარეობს ძირითადად ქართულ ენაზე.

მისაღები გამოცდები იწყება 1993 წლის 10 ივლისს.

აკადემიაში ჩაბარების ყველა მსურველმა 1993 წლის 1 ივლისამდე უნდა წარმოადგინოს (გამოგზავნოს):

სამოქალაქო ახალგაზრდობამ — განცხადება რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისრის ან სამხედრო აკადემიის რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატის ასლი; დაბადების მოწმობის ასლი; ავტობიოგრაფია; დახასიათება სამსახურიდან (სასწავლებლიდან); ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; სამი ფოტოსურათი (უქუდოდ) 4,5/6.

სამხედრო მოსამსახურეებმა — ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი იმ განსხვავებით, რომ ისინი პატაკს წერენ ნაწილის მეთაურის სახელზე.

სამხედრო აკადემიაში გამოცხადებისას ყველა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განათლებისა და დაბადების დოკუმენტების დედნები. ამის გარდა ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებმა, ზემდეგებმა და მიჩმანებმა უნდა წარმოადგინონ პირადი საქმეები.

გამოცდების პერიოდში ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით და საცხოვრებლით (ყაზარმით).

აკადემიის მისამართია: 380084, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 117. გაერთიანებული სამხედრო აკადემია.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აპარატის თანამშრომელი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის სამხედრო მრჩეველი

გიორგი ვლადიმერის ძე ხოჯავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ბატონ აკაკი ძიძიგურს, მის ოჯახს ქალბატონ ელენე ერისთავის გარდაცვალების გამო.

Aragvi

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთის საკონსულო საქართველოში, ტელერადიოკომპანია BBC და ს/ს „არაგვი კორპორეიშენი“ ერთობლივად აწარმოებს მსურველთა მიღებას ფასიან ლექცია-სემინარებზე, რომლიც ჩატარდება ივლის-აგვისტოში. ამ სემინარებს ატარებენ ინგლისის სხვადასხვა უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები.

სტუმრები განთავსდებიან მსმენელთა ოჯახებში, რაც შეუწყობს ხელს ინგლისური ენის შესწავლას, ღონისძიებაში მიღების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგი **ტელეფონით:** 99-66-79, 10 საათიდან 12 საათამდე.

მთავარი რედაქტორი **გურამ გოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ სავაჭრო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი